CIAN MAGENTA YALLOW BLACK

ალია

რეკლამა ალია
577 44-44-42
577 99-99-96

N2 (2932) 9 იანვარი 2014 წ. ფასი 1 ლ

ორშაბათი — ქრონიკა; სამშაბათი — ალია; ოთხშაბათი — ალია; ხუთშაბათი — ალია; პარასკევი — ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

# სად და ვისი ინიციატივით დაიგეგმა აქცია პატრიარქის წინააღმდეგ?





პატრიარქის საშობაო ეპისტოლემ მორიგი ისტერია დაატრიალა. გამაოგნებელია ის, რაც ხდება ე.წ. ლიბერალების მხრიდან, რადგან პატრიარქი თავისი ეპისტოლით ვინმეს კი არ უშლის ცხოვრების წესს, არამედ ის გამოდის ერის მწყემსად და თუკი თითოეულ ჩვენთაგანს გვაქვს აზრის გამოთქმის უფლება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს რატომ ვუკრძალავთ თქვას ის, რასაც ფიქრობს და როგორც მას სწორად მიაჩნია?.. რა დგას ამ ყველაფრის მიღმა? რატომ ჩავარდა ისტერიკაში ადამიანთა ის ჯგუფი, ვინც ‘ლგბტ“ საზოგადოების აქტიური დამცველი იყო? რატომ აქვთ ისტერიული ლტოლვა ამ ხალხს, რომ პედერასტებს ეკლესიამ ტაში დაუკრას და რეალურად რამ გააღიზიანა საზოგადოების ეს ვიწრო დაჯგუფება?

*ვრცლად იხილეთ გვ. 7.*

## რა იატაკქვეშა მუშაობა წამოიწყეს „რესპუბლიკელებმა“ პარლამენტში?





რა ფარული გარიგებები მიმდინარეობს და რომელი კანონის დაბლოკვას აპირებენ „რესპუბლიკელები“? რისთვის შეხვდა უსუფაშვილი პალიკო კუბლაშვილს და რა გზით ცდილობენ ღარიბაშვილის ხელისუფლების დასუსტებას? რა კულუარული ინფორმაციები ვრცელდება პარლამენტში და ვინ რა სარგებელს მიიღებს ამ კანონოს დაბლოკვით?

*ვრცლად იხილეთ გვ. 3*

## ორგანიზაცია, რომელიც აჭარის ისლამურ რესპუბლიკად გადაქცევას აპირებს




რას წარმოადგენს საქრთველოში მოქმედი თურქული ჰუმანიტარული ორგანიზაცია „IHH“? რა პროექტებს აფინანსებენ და რა უნდა საქართველოსგან? როგორ აპირებენ აჭარის ისლამურ რესპუბლიკად გადაქცევას და ვინ დებს ამაში სერიოზულ კაპიტალს?

*ვრცლად იხილეთ გვ. 11*

### მამუკა არეშიძე: „ეს არის სააკაშვილის ტაქტიკის ნაწილი“



ვისზე გაიყვანს „ეფბიაის“ კეზერაშვილი?

### „ფული შემოაკლდა და გაყიდა სიწმინდე!..“

რომელი იღუმენის დასჯას ითხოვს მამა ელიზბარი?



### მთავარ პროკურორს ორი კანდიდატიდან შეარჩევენ



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### საპატრიარქომ განმარტება გააკეთა



პატრიარქის ქორეპისკოპოსმა თეოდორე ჭუაძემ პატრიარქის ეპისტოლეზე ატეხილი აჟიოტაჟის გამო განმარტება გააკეთა: ‘სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლემ საზოგადოებაში დიდი და დადებითი გამოხმაურება გამოიწვია. ერთი ნაწილი კი, გააღიზიანა იმ ადგილმა, სადაც სუროგატ დედებსა და ხელოვნურ განაყოფიერებაზეა საუბარი. ზოგიერთმა ისიც კი ჩათვალა, თითქოს ეკლესია ასეთი მეთოდით დაბადებულ ბავშვებს უპირისპირდება, რაც სრული აბსურდია. პირიქით, ამ პატარებს ეკლესიისგან მეტი სითბო, სიყვარული და დალოცვა სჭირდებათ. ამიტომაც არის, რომ ასეთი ბავშვები პატრიარქის ნათლულებიც არიან და ამაში გასაკვირი არაფერია. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული მეთოდი მისაღებია. შევნიშნავთ იმასაც, რომ თითქმის ყველა ტრადიციული რელიგია ეწინააღმდეგება მას და ცოდვად მიიჩნევს. კათოლიკოს-პატრიარქიც და სასულიერო პირებიც ვალდებულნი არიან, გააფრთხილონ მრევლი და საზოგადოება. ეკლესია პატივს სცემს ნებისმიერი ადამიანის თავისუფალ არჩევანს, მაგრამ სადაც თვლის, რომ არასწორ ქმედებას აქვს ადგილი, უთითებს. ეს ეკლესიის მოვალეობაა“, – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

### საფრანგეთი თავშესაფრის მოთხოვნის პირობებს გვიმკაცრებს



საფრანგეთის ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ბიუროს დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველო, ალბანეთი და კოსოვო ეგრეთ წოდებული ‘უსაფრთხო“ ქვეყნების ნუსხაში შევიდნენ. ბიუროს მიერ შედგენილ სიაში მოხვედრილი ქვეყნები უსაფრთხოდ ითვლება იმ შემთხვევაში, თუ ის თავისუფლების, დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანთა უფლებების პრინციპების დაცვას უზრუნველყოფს. პირები, რომლებიც ამ ქვეყნიდან საფრანგეთში ეძიებენ თავშესაფარს, ამ თავშესაფარს ვერ მიიღებენ. თუმცა, მათ შეეძლებათ, ბიუროს ინდივიდუალური განაცხადებით მიმართონ, მაგრამ ქვეყანაში არ დაიშვებიან, ვიდრე მათი განცხადება განხილვის პროცესში იქნება. (ინტერპრესნიუსი)

# მთავარ პროკურორს ორი კანდიდატიდან შეარჩევენ



„ალიასთვის" ცნობილი გახდა, რომ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავარი პროკურორის პოსტზე წარსადგენად ორი კანდიდატურა შეარჩია. თუ ვინ იქნება მთავარი პროკურორი, ეს უკვე ბოლო კონსულტაციების შემდგომ გაირკვევა, მისი წარდგენა კი მიმდინარე კვირის ბოლოს მოხდება.

უკვე რამდენიმე დღეა, სისტემატურად მიმდინარეობს კონსულტაციები პრემიერ-მინისტრსა და მის გარემოცვას შორის. ირაკლი ღარიბაშვილის ახლო გარემოცვის წევრები ცდილობდნენ, შეერჩიათ ისეთი კანდიდატურა, რომლის წესიერებაში, კვალიფიციურობასა და პრინციპულობაში ბოლომდე იქნებოდნენ დარწმუნებულნი. ასეთად კი, წყაროს ინფორმაციით, მათ მთავარი პროკურორის მოვალეობის ამჟამინდელი შემსრულებელი ირაკლი შოთაძე და ამავე უწყების ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი მიიჩნიეს (წყაროს თხოვნით, მის ვინაობას არ ვასახელებთ – ვიწრო წრემ იცის ეს და არ მინდა გავიშიფროო. – შ.გ.).

„ალიამ" წყაროს ინფორმაცია სამთავრობო გუნდთან დაახლოებულ პირებთან გადაამოწმა და ყველაზე რეალურ კანდიდატად ისინიც შოთაძეს ასახელებენ. ერთ-ერთი მათგანის თქმით, „მიდიოდა ინტენსიური კონსულტაციები, ჩემი ბოლო ინფორმაციით, იგეგმება ირაკლი შოთაძის კანდიდატურის დასახელება, თუმცა აქვე გეტყვით, რომ შერჩეულია მეორე კანდიდატიც და საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, ვისზე შეაჩერებს არჩევანს. აქვე გეტყვით, რომ გარკვეულ ხარვეზს წარმოადგენს შოთაძის ბიოგრაფიაში „ნაციონალური მოძრაობის" დროს პროკურატურაში მაღალ თანამდებობაზე მუშაობა. კერძოდ, ის „ნაციონალების" ხელისუფლებაში ყოფნის დროს მუშაობდა პროკურატურის სამმართველოში, რომელიც ზედამხედველობას უწევდა ფინანსურ პოლიციას. ამ უწყების მაღალჩინოსანთა მიმართ კი უამრავი შეკითხვა რომ არსებობდა და დღესაც არსებობს, ცხადია. არის დიდი ალბათობა, რომ შოთაძე კონკრეტულ საქმეში შემსრულებელი ან მონაწილე ყოფილიყო. ეს საკითხები კარგად არის გამოსაკვლევი. ამიტომ რისკზე, წესით, აღარ უნდა წავიდეს ღარიბაშვილი, თუმცა დანამდვილებით ვიცი, რომ ირაკლი შოთაძის კანდიდატურასაც სერიოზულად განიხილავენ". – ამბობს წყარო.



შოთაძეს პროკურატურაში დადებით და წესიერ პიროვნებად ახასიათებენ, თუმცა ყოფილი ხელისუფლების დროს ფინანსური პოლიციის ზედამხედველ ორგანოში მუშაობა მათაც სერიოზულ ხარვეზად მიაჩნიათ. შეამცირებს თუ არა ეს ირაკლი შოთაძის გაგენპროკურორების შანსს, ამას კვირის ბოლომდე გავიგებთ.





ცნობილი ფაქტია, რომ „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებს არა მხოლოდ ოპონენტებსა და საკუთარ თანამებრძოლებზე, არამედ ნებისმიერი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი თანამდებობის პირებსა და მათი ოჯახის თითოეულ წევრზეც კი ჰქონდათ და ალბათ, ახლაც აქვთ მაკომპრომეტირებელი მასალები. გამონაკლისი შესაძლოა არც ირაკლი შოთაძე იყოს. ფარცხალაძის შემთხვევაში დაშვებული შეცდომის გამეორების საფასური კი ღარიბაშვილისთვის გაცილებით ძვირი იქნება, ვიდრე ეს აწ უკვე ყოფილი მთავარი პროკურორის შემთხვევაში მოხდა.

რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილის მიერ შერჩეულ მეორე კანდიდატურას. ეს პიროვნება პროკურატურაში წლების განმავლობაში მუშაობდა, ამჟამად კი ერთ-ერთი ძალოვანი სტრუქტურის მაღალჩინოსანია.

„ალიას" წყარო მას უაღრესად პრინციპულ, კვალიფიციურ და წესიერ ადამიანად ახასიათებს. წყაროს თქმით, ამ კანდიდატურის დასახელების შემთხვევაში პროკურატურაში მუშაობა იმაზე ბევრად აქტიური და აგრესიული იქნება, ვიდრე ეს ოთარ ფარცხალაძის დროს იყო.

როგორც წყარო ამბობს, ეს პიროვნება „ბოლომდე მიმწოლია" და უკან არაფერზე დაიხევს. გარდა ამისა, მას ირაკლი ღარიბაშვილი ენდობა და თვლის, რომ მისი გაპროკურორების შემთხვევაში მოხდება იმ რეზონანსული საქმეების დროულად გახსნა, რომელთა ბოლომდე მიყვანაც ოთარ ფარცხალაძეს არ დასცალდა. შოთაძისგან განსხვავებით, ამ პიროვნებას ის უპირატესობაც აქვს, რომ მასზე „ნაციონალები" ვერ მოძებნიან ვერანაირ კომპრომატს, მისი ხასიათიდან გამომდინარე კი უკან არაფერზე დაიხევს და სამართლიანობის აღდგენის პროცესს სწორად და პრინციპულად წარმართავს. ამ ადამიანს არც სამოქალაქო სექტორიდან იცნობენ და არც პოლიტიკური სახე ყოფილა ოდესმე და ზოგადად, გახმაურებული და ცნობადი სახე არ არის.

კიდევ ერთი ძალზე საინტერესო ინფორმაცია, რაც ამ კანდიდატის შესახებ სულ სხვა წყაროდან გავარკვიეთ, ის არის, რომ ხელისუფლებაში „ნაციონალების" ყოფნისას, ამ ადამიანმა პროკურატურაში მუშაობის დროს ზურაბ ადეიშვილის რისხვა დაიმსახურა. ადვილი გამოსაცნობია, რატომ შეიძლებოდა განერისხებინა ადეიშვილი საშუალო რანგის პროკურორს. როგორც წყარო ამბობს, „მე როგორც ვიცი, მან ადეიშვილის მითითება არ შეასრულა, სხვა ინფორმაციით კი, ადეიშვილის გარემოცვის უკანონო მოქმედებების შესახებ შეიტყო და ამაზე რეაგირებასაც გეგმავდა. ზუსტად არ ვიცი".

მაინც, როდის გახდება საზოგადოებისთვის ცნობილი მთავარი პროკურორის კანდიდატის ვინაობა? როგორც პრემიერ-მინისტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, მაიკო ბიგვავამ „ალიას" განუცხადა, „ამ დროისთვის არ არის დაზუსტებული, როდის წარუდგენს პრემიერ-მინისტრი საზოგადოებას ახალი მთავარი პროკურორის კანდიდატურას, თუმცა ეს უახლოეს დღეებში მოხდება".

შეგახსენებთ, რომ გერმანიაში ნასამართლობასთან დაკავშირებით ატეხილი სკანდალის გამო, ოთარ ფარცხალაძემ მთავარი პროკურორის პოსტი დანიშვნიდან თვენახევარში – 30 დეკემბერს დატოვა. „პროკურატურის შესახებ" კანონის მოთხოვნის გათვალისწინებით, მთავარი პროკურორის პოსტზე პრემიერ-მინისტრმა ის კანდიდატი უნდა დანიშნოს, რომელსაც იუსტიციის მინისტრი წარუდგენს. მინისტრი თეა წულუკიანი შვებულებაში იმყოფებოდა და სამსახურს 6 იანვარს დაუბრუნდა...

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ურეცეპტოდ გასაცემ წამლებზე შეფერხება არ გავრცელდება



საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ წამლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ ცვლილებებზე ისაუბრა და განაცხადა: „ურეცეპტოდ გასაცემი მედიკამენტები ჩვენი კლასიფიკაციით, მესამე ჯგუფში მოქცეული მედიკამენტებია, რომლებზეც რეცეპტების გავრცელება არ იგეგმება. შესაბამისად, არანაირი დისკომფორტი ამაში აფთიაქებს არ შეექმნებათ".

რაც შეეხება წამლების რეცეპტით სავალდებულო გაცემის პროცესზე ეტაპობრივად გადასვლას, მინისტრის ინფორმაციით, ექიმებისთვის 13 იანვრიდან ფართო საინფორმაციო კამპანია დაიწყება, რა გრაფიკით, რა ჯგუფის მედიკამენტების გადასვლა მოხდება, როგორი იქნება რეცეპტების ფორმა, მათი გამოყენების წესები. სერგეენკოს განცხადებით, ეტაპობრივი გადასვლა თებერვლიდან დაიწყება. იანვრის მეორე ნახევარი კი საინფორმაციო კამპანიას მოხმარდება, რათა მოსახლეობასა და ექიმებს არანაირი დისკომფორტი და შეფერხება არ შეექმნათ. (ინტერპრესნიუსი)

## საპატრიარქოსთან მიმდინარე აქციაზე ოთხი პირი დააკავეს



საპატრიარქოსთან მიმდინარე ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აქციის მონაწილეები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. „სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის წარმომადგენლები", ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებით საპატრიარქოს პოზიციას იცავდნენ, იქვე იმყოფებოდნენ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

საპატრიარქოს პოზიციის მოწინააღმდეგეებსა და მხარდამჭერებს შორის შელაპარაკება დაიწყო, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებულმა გიორგი გაბედავამ საპატრიარქოს მოწინააღმდეგეთა აქციის მონაწილეებს პლაკატი გამოართვა და დახია. სწორედ ამ დროს მოხდა აქციის მონაწილეებს შორის კიდევ ერთი ფიზიკური დაპირისპირება და საპატრულო პოლიციამ აქციის ერთი მონაწილე დააკავა.

პოლიციამ აქციაზე სულ ოთხი პირი დააკავა. შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ნინო გიორგობიანის ინფორმაციით, დაკავებულმა პირებმა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელ გიორგი ლომიაშვილს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, რისთვისაც ისინი ადმინისტრაციული წესით დააკავეს. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რა იატაკქვეშა მუშაობა წამოიწყეს „რესპუბლიკელებმა“ პარლამენტში?

წინასაახალწლო დღეებში ერთი ამბავი ატყდა მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის შეჩერებასთან დაკავშირებით. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ეს საკითხი 2015 წლამდე გადაიდო... პრინციპში, ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ მომზადებულ ცვლილებებს ბოლომდე მხარს დაუჭერს.

საკითხი მარტივია, არასამთავრობო ორგანიზაციები და მათ შორის, ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი, ზაზა ხატიაშვილი ითხოვენ, რომ ამიერიდან მოწმე უნდა დაიკითხოს არა პოლიციაში, არამედ სასამართლოში. არასამთავრობოების გვერდით მყარად დგანან „ნაციონალები“ და თქვენ წარმოიდგინეთ, „რესპუბლიკელებიც“. ერთი შეხედვით, თითქოს საქმე გვაქვს დემოკრატიულ მოვლენასთან, რომელსაც მხარს უჭერს „პროგრესული“ საზოგადოება, მაგრამ მახვილ თვალს არ უნდა გამოეპაროს მთავარი – ვის აწყობს, დღეს საგამოძიებო ბატალიები და დაკითხვების პროცესი კოტე კუბლაშვილის სასამართლოს ჩაუგდოს ხელში?! რა თქმა უნდა, პირველ რიგში, „ნაციონალურ მოძრაობას“... და ამ დამნაშავე ორგანიზაციის მფარველებს – „რესპუბლიკელებს“.

„ალიამ“ მოიპოვა კულუარული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პარლამენტში მიდის იატაკქვეშა მუშაობა, რათა უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილი ცვლილებები, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარადგინა, ბათილად იქნას ცნობილი და კენჭი ეყაროს პალიკო კუბლაშვილის მიერ მომზადებულ ცვლილებებს.

მოდით, გავიხსენოთ, როდის მოამზადა აღნიშნული ცვლილებები „ნაცმოძრაობამ“ კუბლაშვილის ხელით? ჯერ კიდევ მაშინ, როცა სააკაშვილი პრეზიდენტი იყო და არავის ეგონა, რომ მისი რეჟიმი დამარცხდებოდა. როგორც კი დავით უსუფაშვილი პარლამენტის თავმჯდომარე გახდა, პავლე მას შეხვდა და აღნიშნულ ცვლილებებზე ელაპარაკა. უსუფაშვილმა პავლეს „დაბრო“ მისცა, შემოიტანე და „რესპუბლიკელები“ მხარს დაგიჭერთო. მეტიც, ის დაჰპირებია, უმრავლესობის მხრიდან ჩავთვალოთ, ჯერ ერთი, ჩაფლავებულად და მეორეც – ამას აუცილებლად მოჰყვება არსებული მთავრობის კრახი.

აქ ნებისმიერ თქვენგანს დაებადება კითხვა: რა არის ეს, მორიგი შეთქმულება „რესპუბლიკელების“ მონაწილეობით? შეიძლება ასეც ითქვას... ეს არის მორიგი შეთქმულება „რესპუბლიკელების“ მონაწილეობით „ნაციონალების“ გადასარჩენად და ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობის ჩასაძირად!



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ლევან იზორია ამბობს, რომ სასამართლოში მოწმეთა დაკითხვის მოდელის ამოქმედება გამოძიებას დააზარალებს:

„საუბარია, სრულიად ახალ მიდგომაზე – გამოკითხვის მიზნით, მოწმეს იბარებ, რომელიც მოვა თუ არა, არ იცი და თუ მოვა, კომუნიკაციის ისეთი უნარები უნდა გამოავლინო, რომ მან რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია და მტკიცებულება მოგცეს. ეს დაკავშირებულია გამომძიებელთა არა მხოლოდ მომზადებასთან, არამედ არსებული კადრების გადამზადებასთანაც. ისე არავინ უნდა გაიგოს, თითქოს, ვადის გადაწევით რაღაცის წინააღმდეგი ვართ, მაგრამ ერთი მხარის სასარგებლოდ, მეორე მხარის მთლიანად უგულებელყოფა, ბალანსის სწორად ამსახველი არ იქნება“.



პრობლემა არ გექნებათო. როგორც ინკოგნიტო წყარო ამტკიცებს „ალიასთან“ საუბარში, ამ საქმისთვის პარლამენტის თავმჯდომარემ თავისი მეგობარი, ზაზა ხატიაშვილი მოიშველია, ანუ სამოქალაქო სექტორი მისი ხელით გაააქტიურა. კი, ბატონო, შეიძლება სასამართლოში მოწმის დაკითხვა მართლაც დემოკრატიული ნაბიჯია, მაგრამ სანამ სასამართლო „ნაცების“ ხელშია, სანამ კოტე კუბლაშვილი „გაქცეული“ სააკაშვილის დავალებებს ასრულებს, ცვლილებების მიღება იმას ნიშნავს, რომ ბურთიც მაგათ რჩებათ და მოედანიც. ამ შემთხვევაში პროკურატურა და პოლიცია მხოლოდ შორიდან მაყურებლის როლსღა ითავსებს... სამართლიანობის აღდგენის პროცესი უნდა

ლევან იზორიასგან განსხვავებით, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს საქართველოში ბოლშევიზმის დაბრუნებას, როცა მოწმეებს პროკურატურაში აწამებდნენ და როცა ისინი დენის გატარებით ჩვენებას აძლევდნენ:

„მოწმე სასამართლოსა და პოლიციაშიც ერთი და იმავე კოდექსით იკითხება. შესაბამისად, ხელისუფლება რომ ამბობს, დრო გვჭირდებაო, რისთვის უნდათ ვადების გადაწევა? – ადამიანები რომ აწამონ?!“

დაუკვირდით, აქ უნისონში მოდის კოტე კუბლაშვილის, არასამთავრობოებისა და „რესპების“ ინტერესები... კუბლაშვილი აცხადებს, თუ ეს ნორმა ამოქმედდება, სასამართლოს პრობლემა არ ექნებაო. რა პრობლემაზეა საუბარი? პირიქით, თუ ასე მოხდება, კოტე სიხარულისგან შეხტება და შემოტრიალდება, მის გარეშე დამნაშავე „ნაციონალებს“ ბუზსაც ვერავინ აუფრენს!

ადამიანის უფლებათა დაცვისა და იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტებმა ცვლილებებს მხარი დაუჭირეს. როგორც გედევან ფოფხაძე ამბობს, ამ საკითხზე შინაგანი წინააღმდეგობა უმრავლესობაშიც არსებობს, მაგრამ მათ მთავრობის პოზიციისაც ესმით. როგორც ჩანს, უმრავლესობაში ან კარგად ვერ გაერკვნენ სიტუაციაში, ან კიდევ „რესპების“ გავლენის ქვეშ არიან მოქცეულები და, ნებით თუ უნებლიეთ, „ნაციონალების“ წისქვილზე ასხამენ წყალს. მაშინ, როცა სასწორის პინაზეა შეგდებული ვანო მერაბიშვილის, გიგი უგულავას, ბაჩო ახალაიასა და სხვათა საქმეები, ყველაფრის გადაბარება ჯერ კიდევ ყალბი სასამართლოსთვის, აუცილე-

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შვილის „პორნოფოტოგრაფს“ 14 წელი მიუსაჯეს




თბილისის საქალაქო სასამართლომ შვილისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღებასა და გავრცელებაში ბრალდებულს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. სასამართლოს ცნობით, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა არასრულწლოვანით ვაჭრობის ფაქტზე, ბრალდებულების ნ.წ.-სა და ამჟამად ძებნაში მყოფ ტ.ნ.-ს მიმართ.

„მათ ბრალად ედებოდათ არასრულწლოვნით ვაჭრობა – არასრულწლოვანის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება ექსპლუატაციის მიზნით, ხოლო ნ.წ.-ს ჩადენილი დანაშაული დამნაშავეზე მატერიალურად დამოკიდებულის მიმართ.

საქმის მასალების თანახმად, ბრალდებული ნ.წ. ისრაელის მოქალაქე ტ.ნ-სთან უკანონო გარიგების სანაცვლოდ და მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ექსპლუატაციას უწევდა არასრულწლოვან შვილს, კერძოდ, ბრალდებული მასზე მატერიალურად დამოკიდებულ შვილს იყოლიებდა გარყვნილ ქმედებაში – არასრულწლოვანს სისტემატურად უღებდა პორნოგრაფიული ხასიათის ფოტოებს და ინტერნეტის საშუალებით უგზავნიდა სოციალურ ქსელში გაცნობილ ტ.ნ-ს, რომელიც ისრაელიდან პერიოდულად ურიცხავდა თანხებს.

ღია სასამართლო სხდომაზე ბრალდებულების მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურდა საქმეში წარმოდგენილი და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით.

სასამართლომ ორივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და მათ მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დააყენა. ნ.წ.-ს სასჯელის სახედ და ზომად 14 წლით, ხოლო ტ.ნ.-ს 11 წლითა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. (ინტერპრესნიუსი)

## უგულავა გირაოში სიდედრის ბინას ჩადებს



გიგი უგულავა დაკისრებულ 50-ათასიან გირაოს სიდედრის ბინით უზრუნველყოფს. უგულავას ადვოკატის გოგიტა გაბაიძის თქმით, დაცვის მხარემ პროკურატურას 50-ათასიანი გირაოს ნაცვლად უძრავი ქონება შესთავაზა.

„უკვე ჩადებულია გიგი უგულავას სიდედრის ერთოთახიანი ბინა, რითაც მოხდება გირაოს უზრუნველყოფა. პროკურატურას ამის დამადასტურებელი დოკუმენტები გადაეცა“, – განაცხადა გაბაიძემ.

გიგი უგულავას 50-ათასლარიანი გირაო საქალაქო სასამართლომ „თბილისის განვითარების ფონდთან“ დაკავშირებულ ბრალდებაზე შეუფარდა. აღნიშნული ბრალდების საფუძველზე შეუჩერდა მას მერობის უფლებამოსილებაც. (ინტერპრესნიუსი)

## 12 იანვარს საქართველოში თოვაა მოსალოდნელი



გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის თანამშრომლის სვეტლანა ნიორაძის განცხადებით, 8 იანვარს დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლისა და კოლხეთის დაბლობის გარდა, თოვდა დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში, აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონებში. თოვლის საფარი 5 სანტიმეტრით გაიზარდა ბაკურიანში და უკვე 23 სმ-ს შეადგენს. ასევე, თოვდა ახალციხესა და სტეფანწმინდაში. თუმცა, თოვა ყველგან შეწყდება და 12 იანვრამდე საქართველოში უნალექო ამინდებია მოსალოდნელი. 12 იანვარს კი ამინდი კვლავ შეიცვლება და თოვაა მოსალოდნელი. თუმცა, შემდგომ ძლიერ ნალექს ან ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებებს სინოპტიკოსები არ ვარაუდობენ.

12 იანვრამდე ჰაერის საშუალო ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში დღისით +14 გრადუსამდე გათბება, აღმოსავლეთ საქართველოში კი +3+8 გრადუსამდე. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

მესამე გვერდიდან

ბლად მოიტანს კატასტროფულ შედეგებს.

გარდა ამისა, ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, აღნიშნული ცვლილებების მიღება შედის ზურაბ ადეიშვილის ინტერესებშიც... ჯერ ერთი, ადეიშვილი თავად დაიხსნის თავს და მეორეც – ეს უკვე „ბაირამობა“ იქნება თურქეთში მოწანწალე მეგის ქარდავასთვის, სოსო თოფურიძისთვის და დათა ახალაიასთვის. ალბათ, ხვდებით ესენი სასამართლოში მიიყვანენ მოწმეებს, რომლებიც მათ გმირებად გამოაცხადებენ და ამ დროს პოლიცია იქნება უძლური, სამართლიანობის აღდგენაზე საერთოდ ვერ იფიქრებს. რატომ არ შეიტანეს მთელი 9 წლის განმავლობაში „ნაციონალებმა“ სისხლის სამართლის კოდექსში ეს ცვლილებები? მაშინ არ სჭირდებოდათ და იმიტომ, ისინი ახლა გახდნენ დემოკრატები და ადამიანის უფლებების დამცველები. სწორედ მიხეილ სააკაშვილის გეგმაში შედის ამ გზით პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფინანსური პოლიციისა და საგადასახადო სამსახურის პარალიზება.

მთავრობაში მომზადებული კანონპროექტის ავტორები აცხადებენ, რომ მოწმეთა დაკითხვის ახალი ნორმის ამოქმედების შემთხვევაში, ქვეყანა რამდენიმე პრობლემის წინაშე დადგება, გამოძიებას არ ექნება საშუალება, მოწმის დაკითხვის გზით მოიპოვოს ინფორმაცია და მტკიცებულება. ასე კი, რა თქმა უნდა, გართულდება პროკურატურის მიერ თავისი ფუნქციის, ანუ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება და სასამართლოს მხრიდან გაიზრდება არაობიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკი.



# რა იატაკქვეშა მუშაობა წამოიწყეს „რესპუბლიკელებმა“ პარლამენტში?



ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტი პარლამენტში მიღებულია, მაგრამ „რესპუბლიკელები“ ჩალიჩობენ, რომ ისევ პავლე კუბლაშვილის ინიციატივას მიუბრუნდნენ. მეტიც, ისინი ოცნებობენ, პრეზიდენტმა ამ ცვლილებებს ვეტო დაადოს.

მოკლედ, ხელისუფლება ამ ეტაპზე დიდი საშიშროების წინაშე დგას, „რესპებსა“ და ნაციონალებს თავი რომ დავანებოთ, მეორე მხარეს არიან „ადვოკატთა ასოციაცია“, ეკა გიგაური („საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“) და ნინო ლომჯარია („სამართლიანი არჩევნები“). აქ უკვე სამარჩიელო არაფერია, „ადვოკატთა ასოციაციის“ გარდა, ეს ორი ორგანიზაცია წლების განმავლობაში მიხეილ სააკაშვილს „უპრავებდა“ გაყალბებულ არჩევნებს და როგორ ფიქრობთ, ახლა ერთბაშად გასწორდნენ? ისე, რაღა დაგიმალოთ და მე მგონი, „შუა“ სამოქალაქო სექტორშიც უნდა გაიკრიფოს, თორემ უკვე გადააყოლეს ამათ მთელი ქვეყანა თავიანთ გრანტებსა და არარსებულ დემოკრატიას. ქართველი ხალხი ითხოვს მხოლოდ ერთს: სამართლიანობის აღდგენას, ანუ დამნაშავეების დასჯას, თუ მოწმის დაკითხვაც კოტე კუბლაშვილის პრეროგატივა გახდება, მაშინ ვერც სამართლიანობა აღდგება და ვერც დამნაშავეები დაისჯებიან!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

# მოსახლეობის ნაწილი შეცდომაშია შეყვანილი და დამახინჯებული ინფორმაცია აქვს ხუდონჰესის შესახებ

**ინვესტიციების მოზიდვა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამ მიმართულებით ქვეყნის პერსპექტივასა და ბიზნესგარემოზე ექსპერტი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი გიორგი აბაშიშვილი საუბრობს.**

– ხშირია საუბარი საქართველოს შესახებ, თუ რა არის ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპის, უმუშევრობის მიზეზი და ხშირად, სახელდება არასწორი ფაქტორები. ბევრს მიაჩნია, რომ საწარმოთა შექმნა, კაპიტალდაბანდება, დასაქმების პროგრამების განხორციელება სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, თუმცა, ეს ასე არ არის. სახელმწიფოს შეუძლია, გარკვეული მოტივატორის როლი ითამაშოს ამ მიმართულებით, თუმცა, ბუნებრივია, საჭიროა კერძო თანხის მოზიდვა. საჭიროა ინვესტორი, რომელიც დაინტერესდება ქვეყნით, მოახდენს თანხის დაბანდებას ამა თუ იმ საინტერესო პროექტში და შესაბამისად, უზრუნველყოფს ახალი პროდუქტის შექმნას ქვეყანაში, ანუ გაზრდის ჩვენს მთლიან შიდა პროდუქტს, უზრუნველყოფს გადასახადების გადახდას ანუ გაიზრდება ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები და რაც მნიშვნელოვანია დაასაქმებს ადამიანებს, რომელიც მას პროდუქციის შექმნაში ესაჭიროება.

სახელმწიფოს როლი ინვესტიციების მოზიდვის ნაწილში უნდა იყოს შესაბამისი ბიზნესგარემოს ფორმირება. მაგალითად, არსებობდეს ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა, რათა ინვესტორმა არ იფიქროს, რომ შესაძლებელია მის თანხას რაიმე ტიპის პრობლემა შეექმნას, არსებობდეს შესაბამისი სამართლებრივი გარემო, რათა ინვესტორმა ჩათვალოს, რომ ამ ქვეყანაში, ერთი მხრივ, არის კარგი კანონები ბიზნესის კეთებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, დაცულია მისი საკუთრება. თუმცა, ხშირად ხდება ისე, რომ ქვეყანაში არსებობს სტაბილური პოლიტიკური გარემო, არსებობს კარგი სამართლებრივი გარემო, თუმცა, ინვესტორს მაინც ხელი ეშლება მისი საქმიანობის სრულად განხორციელებისთვის. ეს ხელის შემშლელი ფაქტორი კი ხშირად ბიზნესის სოციალურ-კულტურული გარემოა. არის შემთხვევები, როდესაც ცალკეულ ინტერესთა ჯგუფებს არ სურთ ამა თუ იმ ბიზნესპროექტის განხორციელება და ცდილობენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ცალკეულ პროექტთა საწინააღმდეგოდ. სამწუხაროდ, საქართველოში არაერთხელ ყოფილა მსგავსი შემთხვევა. მეჩვენება, რომ ასე ხდება დღეს ქვეყნისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებაზე როგორიც ხუდონჰესია. აშკარაა, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი შეცდომაშია შეყვანილი და დამახინჯებული ინფორმაცია აქვს ამ პროექტის შესახებ.



რეალურად, გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა ავტორიტეტული კვლევებით მინიმალურია ის რისკები, რომელიც შესაძლოა არსებობდეს პროექტის მიერ გარემოზე ზიანის მიყენების კუთხით. ჩვენ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ, ნებისმიერი პროექტის შესახებ მსჯელობისას ერთმანეთს დანახარჯი და სარგებლიანობა უნდა შევადაროთ.

ხუდონჰესის მშენებლობისთვის 1.2 მილიარდი დოლარის ინვესტიციის ჩადება იგეგმება ქვეყანაში 6 წლის განმავლობაში. მარტივად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს ასეულობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნას და ქვეყნის მშპ-ის ყოველწლიურად დაახლოებით 1 პროცენტით ზრდას. გასათვალისწინებელია, რომ ხუდონჰესის აქტიური მშენებლობის ეტაპზე 2014-2020 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტი გადასახადების სახით მიიღებს 25 მილიონ ლარზე მეტ თანხას ყოველწლიურად, ხოლო ხუდონჰესის ექსპლუატაციის პერიოდში (2020-2037 წლებში) სახელმწიფო ბიუჯეტი გადასახადების სახით ყოველწლიურად დამატებით 57 მილიონ ლარს მიიღებს.

აბსოლუტურად ცალკე განხილვის უმნიშვნელოვანესი საკითხია ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება და ენერგოდამოუკიდებლობა. კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პარალელურად მნიშვნელოვნად გაიზრდება ქვეყანაში ელექტროენერგიაზე მოთხოვნა, გამოსავალი ორია: ან თავად ვაწარმოოთ ელექტროენერგია ან სხვა ქვეყნიდან ძვირად ვიყიდოთ. კითხვა მარტივია: რატომ უნდა ვიყიდოთ ის პროდუქტი სხვა ქვეყანაში, რომლის იაფად წარმოებაც თავად შეგვიძლია? გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროექტის ამოქმედების შემთხვევაში ჩვენ არა თუ საკუთარ მოთხოვნას დავაკმაყოფილებთ, არამედ ექსპორტის ახალ შესაძლებლობებს გავიჩენთ.



# ვისზე გაიყვანს „ეფბიაის“ კეზერაშვილი?

## მამუკა არეშიძე: „ეს არის სააკაშვილის ტაქტიკის ნაწილი“



„ნაციონალების“ ისტერიული პროტესტების სერიალი გრძელდება, თუმცა ამ სერიალში ჩვენ არ გვინახავს, საფრანგეთის ციხეში მოვთავსებული უკანონო იარაღის ვაჭრობაში ეჭვმიტანილი დავით კეზერაშვილის ბრალდება ვინმეს გაეპროტესტებინოს, ასევე არ გვინახავს „ნაცების“ პროტესტი, რატომ გაიქცა მათი პარტიის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

„ნაცების“ გენმდივანი ციხეშია, პარტიის თავმჯდომარე – „პაბეგში“, თავდაცვის ყოფილი მინისტრით კი ოთხი ქვეყნის სპეცსამსახურია დაინტერესებული. დღემდე „ნაციონალებს“ კომენტარი არ გაუკეთებიათ კეზერაშვილის საქმეზე მაშინაც კი, როცა ისინი მათი გამოწრთობილი კადრის, ექსმთავარი პროკურორის ნასამართლობას აფრიალებდნენ. არადა, ძალიან მნიშვნელოვანია კეზერაშვილის თემა, იმდენად რამდენადაც ის ერთგვარ ოქროს გასაღებს წარმოადგენს, რომლითაც „ნაციონალების“ ყველა დანაშაულებრივი კარი გაიხსნება. ქართულმა მხარემ 16 იანვრამდე სასამართლოს დავით კეზერაშვილზე ყველა ის საჭირო დამატებითი დოკუმენტაცია უნდა გადაუგზა-**ოიკვეთა დავით კეზერაშვილის საქმეში? ამ საკითხებზე „ალიას“ ექსპერტი მამუკა არეშიძე ესაუბრება:**

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მასალები, რომელსაც დასავლური მხარე ფლობდა იმ ფირმებთან დაკავშირებით, რომლებიც იარაღს აწარმოებენ და ეწევიან იარაღის ტრანზიტს ახლო აღმოსავლეთის ხაზით, მასალა იყო ფაქტიური და ეს ყველაფერი დალაგდა, რასაც მიეცა უფრო კონკრეტული სახე. ამ საქმეში ჩართული აღმოჩნდა ევროპის ზოგიერთი მაღალჩინოსანი, ბულგარეთი, ასევე იარაღით ვაჭრობაში ჩართული აღმოჩნ-**კურირებდა თავდაცვის სამინისტროში. მხოლოდ ის ვიცით, რომ ჩამოსულია „ეფბიაის“ საგამოძიებო ბიუროს წარმომადგენელი, რომელიც გამოძიებას ზედამხედველობს და ეს საქმე გასაიდუმლოებულია.**

– ადრე თუ გვიან, სულ მცირე, მოწმის სტატუსით მაინც უნდა მომხდარიყო ნინუას დაკითხვა. ირიბი ინფორ-

ვნოს, რაც ფრანგულმა მხარემ მოითხოვა. სასამართლო პროცესი საფრანგეთის სამხრეთით მდებარე ქალაქ ექსან პროვანსის საოლქო-სააპელაციო სასამართლოში გაიმართება. ამ ინფორმაციას საფრანგეთში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი ეკატერინე სირაძე-დელონე ადასტურებს. კეზერაშვილის საქმეს სასამართლოს საერთაშორისო განყოფილება განიხილავს და მის ინტერესებს ადვოკატი მეტ აურელიან ჰამელი დაიცავს. კეზერაშვილი ამ დრომდე მარსელის წინასწარი დაკავების საკანშია მოთავსებული.

**რა ახალი დეტალები გამ-**

და ფინანსურად ისეთი შეძლებული ცნობილი ადამიანი, როგორიც არის გაიდამაკი, ებრაელი მილიარდერი. ეს ადამიანები ცნობილნი არიან მყარი კავშირებით მსოფლიოში. მოკლედ, ეს ყველაფერი ძალიან შორს მიდის, კეზერაშვილი არის ამ კრიმინალური უზარმაზარი ბორბლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი.

**— რატომ არის კეზერაშვილის საქმე ასე ჩაკეტილი და ინფორმაციები რატომ არ ჟონავს?**

– იმიტომ, რომ ამ საქმეში ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანია გახვეული.

**— ასევე, ჩვენთვის არ არის ცნობილი დეტალები ნინუას საქმეზე, რომელიც კეზერაშვილის დროს იარაღის შესყიდვებს**

მაციით, ნინუა იყო იმ რამდენიმე ადამიანში, ვინც ხშირად ჩადიოდა დუბაიში ცნობილი იარაღით მოვაჭრე ბუტის ოფისში. ბუტი ამერიკის ფედერალურ ციხეში იხდის სასჯელს, მის ადვოკატებს მომზადებული ჰქონდათ სარჩელი ამერიკის სააპელაციო სასამართლოში და კეზერაშვილის დაპატიმრების შემდეგ სარჩელის შეტანისგან თავი შეიკავეს.

გარკვეულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემიძლია გითხრათ, რომ კეზერაშვილის დაკავებამ ბუტის სარჩელს სააპელაციო სასამართლოში აზრი დაუკარგა. ეს ინფორმაცია ადრეც მოგაწოდეთ, ეს თემა ჩაკეტილი იმიტომ არის, რომ ზოგიერთ ძალიან ცნობილ ადამიანს ეს ისტორია არ შეეხოს. აქვე გეტყვით, რომ კეზერაშვილზეა დამოკიდებული, ამ საქმეში ამოტივტივდება თუ არა მიხეილ სააკაშვილის სახელი. იარაღით ვაჭრობა არის ერთი უბედურება, მაგრამ არის მეორე საკითხი, რომელიც კონკრეტული ფირმების შესაძლებლობებს სცილდება.

მაგალითად, არის იარაღის ზოგიერთი სახეობა, რომელიც საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით შეიძლება ყოფილიყო შეძენილი, მაგალითად, უკრაინაში,

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ნარმანია პრეზენტაციას გამართავს




საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია 9 იანვარს 2014 წლის სამოქმედო გეგმის პრეზენტაციას გამართავს.

სამინისტროს ცნობით, პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იქნება სამინისტროს მიერ 2014 წელს განსახორციელებელი პროექტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ახალი ლოტების მშენებლობა, წყალმომარაგების კუთხით დაგეგმილი სამუშაოები, სხვა მიმართულებები.

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2014 წლის სამოქმედო გეგმის ძირითადი მიმართულებებია: რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა; საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები; რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა“, – აცხადებენ სამინისტროში. (ინტერპრესნიუსი)

### „კანონიერ ქურდობასთან“ დაკავშირებული მუხლი გადასახედია?




იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, ვახტანგ ხმალაძის აზრით, ქურდული სამყაროს წევრობასთან და „კანონიერ ქურდობასთან“ დაკავშირებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი გადასახედია. მისი თქმით, „სისხლის სამართლის კოდექსის“ 223/1-ე მუხლში ჩადებული ნორმა ე.წ. განსაზღვრულობის პრინციპს ვერ აკმაყოფილებს.

„კანონის ეს ნორმა არ მომწონს და თავის დროზე, როცა შემოიღეს, ძალიან კრიტიკულად ვუდგებოდი. ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება უნდა იყოს შეფასებითი, თუ რა არის ეს. კანონში ჩადებული ნორმა ვერ აკმაყოფილებს ე.წ. განსაზღვრულობის პრინციპს და ჩემთვის ეს არის მნიშვნელოვანი და პრობლემური. ზუსტად უნდა განისაზღვროს, რა არის „კანონიერი ქურდობა“ და ქურდული მენტალიტეტი და უშუალოდ დაკავშირებული უნდა იყოს კონკრეტულ მოქმედებასთან, რომლის გამოც შეიძლება პირი გასამართლდეს. უტრირებას გავაკეთებ და ვიტყვი, იმის გამო, რომ ვთქვათ, მე მომწონს ქურდები და მომწონს ქურდული ურთიერთობები, ამის გამო არ შეიძლება ციხეში ჩამსვან“, – განაცხადა ხმალაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ომბუდსმენი დისკრიმინაციაზე ალაპარაკდა

საქართველოს სახალხო დამცველი საპატრიარქოსთან გამართული აქციის შესახებ განცხადებასავრცელებს:

„საქართველოს საპატრიარქოსთან შეკრებილ აქციის მონაწილეებს, რომლებიც აპროტესტებდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლეში გამოთქმულ მოსაზრებებს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს პარალელური აქციის მონაწილეებმა, რაც გამოიხატა ტრანსპარანტების დახევასა და ფიზიკურ ძალადობრივ ქმედებებში. მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით, სამართალდამცავებმა ოთხი პირი დააკავეს...

სახალხო დამცველი დაუშვებლად მიიჩნევს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას ძალადობრივი ქმედებებით, მათ შორის განხორციელებულს კერძო პირთა მხრიდან. სამწუხაროდ, საზოგადოებაში არსებული დისკრიმინაციული შეხედულებები კვლავ ხდება სიძულვილით ჩადენილი, ძალადობრივი ქმედებების განხორციელების საფუძველი.

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, დაიცვას მშვიდობიანი შეკრების მონაწილეები მესამე პირთა ძალადობრივი ქმედებებისგან. არსებითია, რომ ასეთი შემთხვევების დროს სახელმწიფომ გაატაროს დროული და ეფექტური ღონისძიებები ფიზიკური შეურაცხყოფის თუ სხვა ძალადობრივი ქმედებების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით. მნიშვნელოვანია, გამოვლენილი და დასჯილი იყოს ყველა ის პირი, ვის მიერაც ჩადენილი იქნა ამა თუ იმ სახის სამართალდარღვევა. სამართალდამრღვევთა სათანადო დასჯა არის მსგავსი შემთხვევების პრევენციის საშუალება და ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი“. – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)



# მამუკა არეშიძე: „ეს არის სააკაშვილის ტაქტიკის ნაწილი“

# ვისზე გაიყვანს „ეფბიაის“ კეზერაშვილი?

*მეხუთე გვერდიდან*

ბულგარეთში ან რუმინეთში, ან ჩეხეთში. აქედან გამომდინარე, სულ მცირე, არსებობდა პრეზიდენტის განკარგულება თუნდაც იმისთვის, რომ ამ საქმისთვის ფული გამოყოფილიყო. უშიშროების საბჭოზე ეს საკითხი წყდებოდა, მაგრამ საბოლოოდ, წერტილს უსვამდა პრეზიდენტი. რასაკვირველია, შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ პრეზიდენტი მოატყუეს. არც ამას არ გამოვრიცხავ, მაგრამ შემდეგ ხომ უნდა მოეკითხა სააკაშვილს? მაგალითად, შეძენილი იყო იარაღის სახეობა „ბუკები“ ძალიან მაღალ ფასად უკრაინაში, რეალურად საქართველოში აღმოჩნდა ჩამოწერილი იარაღი, ხოლო ვარგისი სხვა ქვეყანაში გაიგზავნა.

რაც არ უნდა იმართლოს სააკაშვილმა თავი, მე მაინც მგონია, გარკვეული დოკუმენტაცია ამ საკითხში მისი ჩართულობის შესახებ გამოძიებას აქვს. ამიტომაც ცდილობდა სააკაშვილი, რომ კეზერაშვილი ძლიერი ადვოკატების მეშვეობით მაქსიმალურად ყოფილიყო დაცული საფრანგეთის ციხეში. თუ გამოძიება სააკაშვილზე ვერ გავა, მისი ბიძაშვილი და ბიძა თემურ ალასანია გამოძიებას ვერ ასცდებიან. ვრცელდება ინფორმაცია, რომ კეზერაშვილი იმყოფება განსაკუთრებულად მძიმე დამნაშავეთა „კამერაში“ და მას გაძლიერებულად იცავენ. მეტიც, მას პერსონალური დაცვა ჰყავს.

**— ჰოლანდიურ პრესაში გამოჩნდა სანდრა რულოვსის ინტერვიუ, სადაც ის საუბრობს სააკაშვილის შესაძლო პრემიერობაზე და არ გამორიცხავს, რომ ის დაბრუნდება საქართველოში არა როგორც პირველი ლედი, არამედ როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრის მეუღლე. თუკი სააკაშვილის ქეისში უამრავი დანაშაულია და ამაზე ბევრი იწერება, რა გზით შეძლებს ის ქვეყანაში დაბრუნებას და ვინ დაეხმარება მას მიზნების განხორციელებაში, ყველა დანაშაული შერჩება?**

– სააკაშვილის დაბრუნება დამოკიდებულია „ოცნების“ შეცდომებზე, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მოხდება სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულების დეზავუირება, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად აღმოჩნდება სააკაშვილი და მისი მთავრობა საერთაშორისო დანაშაულში გახვეული. მაგალითად, თურქული ჰუმანიტარული ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებდა საქართველოს ტერიტორიაზე და რომლის შემოსვლაშიც მე ირიბად ვხედავ სააკაშვილის ოჯახის კვალს, ახლა ბრალდებულია ეს ორგანიზაცია თურქეთიდან სირიაში იარაღის უკანონო შეტანაში. ამით იმის თქმა მინდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საეჭვო გარიგებები იარაღთან და ნარკოტიკებთან დაკავშირებით, მასშტაბურ ელფერს იღებს, რაც სააკაშვილის, როგორც პრეზიდენტის მონაწილეობის გარეშე, რთული გასაკეთებელი იქნებოდა, ან გამოდის, რომ საქართველოს პრეზიდენტი არ ჰყოლია და არ ჰქონია უსაფრთხოების სისტემა, რაზეც ამდენი ხნის მანძილზე გვეტრაბახებოდნენ.

რაც შეეხება თავად სააკაშვილს, ცდილობს, მოვლენების ეპიცენტრიდან შორს იყოს, ევროპაშიც არ ჩადის, ყველაფერს აკეთებს, მსოფლიოს მოაჩვენოს თავი, რომ ის დაკავებულია ჰუმანიტარული საქმიანობით. ეს არის სააკაშვილის ტაქტიკის ნაწილი, ხოლო განცხადებებს აკეთებს მისი მეუღლე.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ბიბისი“ მამა გაბრიელზე...



„ქართველი მომლოცველები სურვილების შესრულებას ბერის საფლავს სთხოვენ“, – ამ სათაურით ეხმაურება „ბიბისი“ მცხეთაში, მამა გაბრიელის საფლავზე ათასობით მომლოცველის ჩასვლას. როგორც „ბიბისი“ აღნიშნავს, საქართველოში მომლოცველები წმინდანის საფლავთან იმ იმედით შეიკრიბნენ, რომ მათი სურვილები შესრულდება.

„გავრცელდა ხმები, რომ მამა გაბრიელი, რომელიც 1995 წელს გარდაიცვალა და მოგვიანებით წმინდანად შერაცხეს, ერთ-ერთ მონაზონს გამოეცხადა და მსგავსი დაპირება აღუთქვა. ეს ამბავი სოციალური მედიისა და ერთმანეთის მეშვეობით გავრცელდა. სავარაუდოდ, ორი სურვილი აუხდებოდა მას, ვინც შობის დღესასწაულამდე წმინდანის საფლავზე ჩავიდოდა“, – წერს „ბიბისი“.

ავტორი აღნიშნავს, რომ მღვდლებმა უმალ დაგმეს მონაზვნის „ხილვა“. იღუმენმა კირიონ მაჩაიძემ კი ვიზიტორები კერპთაყვანისმცემლობაში დაადანაშაულა.

„ბიბისი“ ასევე ხაზს უსვამს, რომ მომხდართან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა საქართველოს საპატრიარქომ, მოგვიანებით კი დედა პარასკევამ თქვა, რომ მსგავსი ხილვა არ ჰქონია. „თუმცა ხალხის მასები კვლავაც მიედინებოდა მცხეთაში, წმინდანის საფლავზე“, – წერს „ბიბისი“.

გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ დედა პარასკევას ხილვა ჰქონდა – მან ნახა ბერი გაბრიელი, რომელმაც უთხრა, რომ ყველა იმ ადამიანს, რომელიც შობამდე მცხეთაში, მის საფლავთან ან ციხისჯვარში, მამა გაბრიელის სახელობის მონასტერში მივა, რწმენით ნათხოვი ორი სურვილი შეუსრულდება. თავად დედა პარასკევამ კი აღნიშნა, რომ მას არანაირი ხილვა არ ჰქონია. (ინტერპრესნიუსი)

## ადვოკატები მახინჯი პრაქტიკის წინააღმდეგ გამოდიან

როგორც ადვოკატთა ასოციაციაში აცხადებენ, აცილებული მოსამართლის შემდეგ საქმეებს სათადარიგო მოსამართლეებს გადასცემენ, გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა კი არ მატულობს.

„უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ აღიარა, რომ სასამართლოზე იყო ზეწოლა წინა ხელისუფლების დროს. მოსამართლეები იმდენად არიან მიჩვეულები ბრძანებას, რომ არ იციან, როგორ მოიქცნენ და არასწორად განმარტავენ კანონს. აცილებული მოსამართლის შემდეგ საქმეებს გადასცემენ სათადარიგო მოსამართლეებს; არ მატულობს გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა და უკვე 9 თვეა, გაუგონარი კანონდარღვევით მიმდინარეობს „ბერიაშვილი, ართმელაძე, შველიძის საქმე“, პროკურატურა იჭერს მოწმეებს, სასამართლო კი დაცვას არ აძლევს ადეკვატურ დროს დაცვის განსახორციელებლად“, – აცხადებენ ადვოკატთა ასოციაციაში. (პირველი)

რეკლამა: ☎2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





ვისარგებლებ შემთხვევით და „ალიას“ საშუალებით ვიტყვი, რომ საქართველო დიდი ხანია გახდა ქალთა და მამაკაცთა სექსუალური და შრომითი ტრეფიკინგის, ასევე ადამიანებით ვაჭრობისა და ბავშვების სიცოცხლით ვაჭრობის ერთ-ერთ ასპარეზად, შესაბამისად, სუროგაცია გადაიქცა ბიზნესად, რეალურად ეს არის ბავშვებით ვაჭრობა, თუმცა უფრო მძიმე დანაშაულსაც აქვს ადგილი, მათ შორის ბავშვების ორგანოებით ვაჭრობას.

**— თქვენ გაქვთ კონკრეტული ფაქტები, რომ ბავშვების ორგანოებით ვაჭრობენ?**

– ფაქტების ისეთი შემთხვევები, როცა ამ ბავშვებს იყენებენ თავისი გარყვნილი ცხოვრებისთვის. ამ საკითხებზე უნდა ამახვილებდნენ მეტ ყურადღებას უფლებადამცველები...

**— თქვენ სახალხო დამცველს უჩა ნანუაშვილს გულისხმობთ, რომელმაც დაგმო ეპისტოლე?**

– დიახ, ჩემი აზრით, უკვე მეორედ სამარცხვინოდ მოიქცა სახალხო დამცველი, ეთანხმება თუ არა პატრიარქის ეპისტოლეს, ეს სხვა საქმეა, მაგრამ მან უფლება მისცა საკუთარ თავს, პატრიარქს, აუკრძალოს მისი პირადი აზრის, მეტიც, ეკლესიური აზრის გამოთქმა და ქადაგება. რეალურად, პატრიარქის ეპისტოლე, ეს არის ქადაგება და მან დაგმო მის ეპისტოლეში ის, რასაც გმობს ეკლესია. რეალურად, ეს პროცესი უფრო ღრმა და საშიშია, ვიდრე ერთი შეხედვით გვრჩება არის მართლმადიდებლებისთვის პროპაგანდის აკრძალვის უფლება. ვინმე თუ არ ეთანხმება პატრიარქის ეპისტოლეს, ის ვალდებულია, უმრავლესობის აზრი მოისმინოს და კორექტული ფორმით გამოხატოს თავისი პოზიცია. ნუ უკრძალავენ პატრიარქს ეკლესიისა და თავისი აზრის გამოხატვას, ამიტომაც სამარცხვინო იყო სახალხო დამცველის განცხადებები, მას ეს არ უნდა ეშლებოდეს და უნდა იყოს დაბალანსებული. ის პირდაპირ გამოდის და პატრიარქს ართმევს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებას.

მე მოვუწოდებ შინაგან საქმეთა სამინისტროს და სპეცსამსახურებს, ამ საერთაშორისო ორგანიზაციით დაინტერესდნენ, გამოიკვლიონ, რა ხდება ამ საქმეში. სასტიკად უნდა დაისაჯონ ის ადამიანები, ვინც ადამიანების ვაჭრობის მობილიზება და თავად საზოგადოება უნდა იყოს დამკვეთი დანაშაულის აღკვეთისა. ჩვენ უნდა ვაიძულოთ მთავრობა, რომელიც თითქმის ყველა საკითხში უხერხემლობას იჩენს, რომ ამ კუთხით იმუშაოს და აღკვეთოს უმძიმესი დანაშაული, რასაც ჰქვია ადამიანების ორგანოებით ვაჭრობა. საპატრიარქოში მივარდნის უკან რა დგას, ესეც კარგად გამოიძიონ. გამოიძიონ, სად მდებარეობს ოფისი და ვინ აფინანსებს მათ, ვინც ორგანიზებას უწევს საპატრიარქოსთან ასეთ მივარდნებს...

**— კონკრეტულად ვინ აფინანსებს და ვინ უკეთებს ორგანიზებას ასეთ საპროტესტო აქციებს, რომელსაც ფონად ისტერია გასდევს?**

– რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს ინფორმაციები, ვინ აფინანსებს მათ, ამ საკითხზე

# სად და ვისი ინიციატივით დაიგეგმა აქცია პატრიარქის წინააღმდეგ?

**„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია „ალიას“ კითხვებს პასუხობს:**

**— პატრიარქის ეპისტოლეს გამოეხმაურა ამიერკავკასიის ლათინ-კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი ჯუზეპე პადოზი: „უნდა ვაღიარო, გაოცებული დავრჩი იმ რეაქციით, რაც პატრიარქის საშობაო ეპისტოლეს მოჰყვა, კერძოდ ინ-ვიტრო განაყოფიერებასა და აბორტს. დამრჩა შთაბეჭდილება, ამ ეპისტოლეს ჩანაფიქრში მსჯავრზე მეტად მწყემსის ზრუნვაა, რომელიც სვამს კითხვას, — რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს იმ არჩევანს, რასაც აკეთებს დღევანდელი საზოგადოება“. თქვენ როგორ ფიქრობთ, ეპისტოლეს მიმართ აგრესიის ისტერიის მიღმა რა იმალება, არის თუ არა ერთგვარი საბოტაჟი?**

– ვეთანხმები შეკითხვის ტონს, ეს არის საბოტაჟი, შანტაჟი, მუქარა, საპატრიარქოსთან მისული იყო „ლგბტ“ საზოგადოება, მათი მხარდამჭერები და ისინი მხოლოდ იმიტომ უჭერენ მხარს „ლგბტ“ საზოგადოებას, რომ ამის სანაცვლოდ იღებენ გრანტებს, რეალურად საზოგადოების ეს ნაწილი გაღიზიანდა ეპისტოლეს იმ ნაწილის გამო, სადაც საუბარი იყო „ლგბტ“ საზოგადოებაზე და პატრიარქი ცხოვრების გარკვეულ წესზე მიუთითებდა. პატრიარქი ეპისტოლეში შეეხო იმას, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დროს საქართველომ თავის თავზე არ უნდა აიღოს ვალდებულება ერთსქესიანთა ქორწინებაზე, რაც ევროპის ბევრ ქვეყანაშია დაკანონებული, ასევე ინცესტზე, რაც ნიშნავს ოჯახის წევრებს შორის სექსუალურ კავშირს. იქ საუბარი იყო ისეთ ამორალურ ქცევებზე, როცა ერთსქესიანი წყვილი სუროგატი დედის საშუალებით აჩენენ ბავშვს და მათ იყვანენ შვილად.

დადება, ეს არის პროკურატურის პრეროგატივა, კეთილი ინებონ სპეცსამსახურებმა, დაინტერესდნენ, რა ხდება ამ სფეროში და აღმოაჩენენ კონკრეტულ ფაქტებსაც. ექსკლუზიურად გეტყვით, რომ საქართველოში მოქმედებს საერთაშორისო ქსელი, რომელთაც ჰყავთ კონკრეტული ადამიანები წარმომადგენლებად, მათი გვარ-სახელებიც ვიცი, რომლებიც უშუალოდ ჩართულნი არიან ამ ქსელში, საჭიროების შემთხვევაში გამოძიებას, რა თქმა უნდა, მათ ვინაობას გავუმხელ. გეტყვით, რომ ეს ადამიანები მოძრაობენ განვითარებად ქვეყნებში, ინდოეთში, მალაიზიაში, ისინი ხელს უწყობენ ბავშვების სუროგაციის გზით გაჩენას და შემდეგ ხდება ან ბავშვების ორგანოებით ვაჭრობა, ან ბავშვების გაყიდვა. ძირითადად ამ ბავშვებს ყიდიან ერთსქესიან ოჯახებზე, ძალიან გახშირდა



ამ თემაზე შთაბეჭდილება, ასე მარტივად არ არის, რომ გამოვარდა რამდენიმე „ცისფერი“, მათი მხარდამჭერი და მათ დაგმეს პატრიარქის ეპისტოლეს კონკრეტული ნაწილი. რეალურად, რაც ხდება, ეს ბით არიან დაკავებულნი. გაარკვიონ, როგორ ხდება ბავშვების ყიდვა-გაყიდვა და შეისწავლონ ადამიანებისა და მათ შორის ბავშვების ორგანოებით ვინ და როგორ ვაჭრობს. ასევე, აუცილებ-გამოძიებასთანაც ვითანამშრომლებ. ერთ მაგალითს გეტყვით, საქართველოში არსებობს ლიბერალების სწავ-

*გაგრძელება მერვე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „არქიმედეს“ ნაწილზე პასუხისმგებლობა სახელმწიფომ აიღო



სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ ბენეფიციარებზე, რომლებიც სერვისებს სახელმწიფოს მიერ გადახდილი თანხით იღებდნენ, პასუხისმგებლობა სახელმწიფომ აიღო.

ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, „რაც შეეხება იმ ბენეფიციარებს, რომლებიც სახელმწიფოს მიერ გადახდილი თანხით იღებდნენ სერვისებს „არქიმედესგან“, უკლებლივ ყველა მათგანზე პასუხისმგებლობა უკვე აიღო სახელმწიფომ. ამ პროექტის მართვას, ადმინისტრირებას, პირველი იანვრიდან ჯანდაცვის სამინისტრო ახორციელებს. ნებისმიერი მათგანისთვის ყოველგვარი შეფერხების გარეშე გავწევთ იმ სერვისებს, რაც მათ ჰქონდათ“, – აღნიშნა სერგეენკომ.

მინისტრის ინფორმაციით, „არქიმედეს“ ბენეფიციარებმა საყოველთაო დაზღვევის პროექტის ძირითად ფილიალებს უნდა მიმართონ. მათ ასევე შეუძლიათ მიმართონ ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზსა და ჯანდაცვის სამინისტროს დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მინისტრს, მინისტრის მოადგილეს.

სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ გაკოტრდა. კომპანია პენსიონრების, 5 წლამდე ასაკის ბავშვებისა და სტუდენტების დაზღვევაზე მუშაობდა. კომპანიას ფინანსური პრობლემების გამოსასწორებლად ვადა 31 დეკემბრამდე ჰქონდა. კომპანიაში დაზღვეული იყო 300 ათასზე მეტი მოქალაქე. (ინტერპრესნიუსი)

## ქართველი სამშვიდობოები დაბრუნდნენ

ქართველი სამშვიდობოები ავღანეთიდან სამშობლოში დაბრუნდნენ. თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ბათუმის ცალკეულ მსუბუქ ქვეით ბატალიონს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, მიხეილ დარჩიაშვილი და გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, პოლკოვნიკი ვლადიმერ ჩაჩიბაია დახვდნენ.



„ავღანეთიდან ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის 155 სამხედრო მოსამსახურე დაბრუნდა, რომლებიც რამდენიმე თვის მანძილზე მათზე დაკისრებულ მისიას, ავღანეთის ერთ-ერთ ყველაზე რთულ რეგიონში, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ქვეითებთან ერთად, ასრულებდნენ. მინდა თითოეულ მათგანს, თავდაცვის სამინისტროს სახელით, მადლობა გადავუხადო მათზე დაკისრებული მისიის მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებისთვის“, – განაცხადა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, მიხეილ დარჩიაშვილმა.

ბატალიონის მთავარი ამოცანა ოპერაციის რაიონში ამბოხებულთა ძალების გაუვნებელყოფა, ადგილობრივი მთავრობისა და ეროვნული უსაფრთხოების ძალების განვითარების მხარდაჭერა, უსაფრთხოების ზონების კონტროლი და აშშ-ს საზღვაო ქვეითებთან თანამშრომლობა იყო.

ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები ავღანეთში როტაციის წესით სექტემბრის ბოლოს გაემგზავრნენ. (ინტერპრესნიუსი)

## კომუნიკაციების კომისია „ტვ 3“-ის საქმეს განიხილავს



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2013 წლის 26 აგვისტოს რადიომაუწყებლობის კონკურსში გამარჯვებული კომპანიის გამოვლენის შესახებ და 2013 წლის 1-ლი ნოემბრის ამ კონკურსში გამარჯვებული კომპანიისთვის, შპს „ენერჯი გრუპისთვის“, ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად გამოცხადებაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

კომისიის ცნობით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას საფუძვლად 2013 წლის ნოემბერში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული განცხადება დაედო, რომლის თანახმადაც კახა ბაინდურაშვილი, რომელიც წარმოადგენს შპს „ენერჯი გრუპის“ (ბრენდული სახელწოდება რადიო „ზენიტი“) დამფუძნებელს და დირექტორს, იმავდროულად საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტიც არის.

„საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა კი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს. ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი კი არის ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი.

კომისიის აპარატს ტელეკომპანია „ტვ 3“-ის საკითხის შესწავლაც დაევალა, რადგან ამ ტელეკომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელიც კახა ბაინდურაშვილია. (ინტერპრესნიუსი)



# სად და ვისი ინიციატივით დაიგეგმა აქცია პატრიარქის წინააღმდეგ?

*მეშვიდე გვერდიდან*

ლების ცენტრი, რომელიც ამზადებს შტატიან პროვოკატორებს, სპეცოპერატორებს... ჩემი ინფორმაციით, 2013 წლის 17 მაისს სწორედ ამ ორგანიზაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გადაიღო კადრი, სადაც თითქოს სასულიერო პირი იგინება, მე მაქვს ინფორმაცია, სადაც დამონტაჟდა ეს კადრები, მაგრამ ამ ეტაპზე თავს შევიკავებდი დაკონკრეტებისგან.

— **სამწუხაროდ, იგივე საზოგადოებას არ გაუპროტესტებია, როცა გიგი უგულავა და „ნაციონალური მოძრაობა“ პატრიარქის ეპისტოლეს თავად ასწორებდნენ.**

– დავაზუსტებ, გიგი უგულავამ მოინდომა პატრიარქის ეპისტოლეს ჩასწორება, მაგრამ უკან გამოვარდა. მინდა გითხრათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თეთრი სახლის ადმინისტრაცია პირდაპირ შეეხო საქართველოში ადამიანებით ვაჭრობის საკითხს. ზუსტად ასე ეწერა: „საქართველო გადაიქცა ქალთა და მამაკაცთა შრომითი და სექსუალური ტრეფიკინგის და ადამიანებით ვაჭრობის ერთ-ერთ ეპიცენტრად“. ეს ჩანაწერი „თეთრი სახლის“ ადმინისტრაციამ გააკეთა ორი წლის წინათ, მას შემდეგ ვითარება არ გამოსწორებულა. მინდა თქვენი გაზეთით გავაკეთო განცხადება: არ დავუშვებთ, რომ „ლგბტ“ საზოგადოების წარმომადგენლები და მათი მხარდამჭერები, რომლებიც გრანტებზე არიან გაყიდულები, პატრიარქს ყველა განცხადებაზე მიუვარდნენ.

— **როგორც იქნა, ხელისუფლება არასაპარლამენტო ოპოზიციასთან მოლაპარაკებაზე წამოვიდა, იწყება სამდღიანი მოლაპარაკების რაუნდი, რა იქნება არასაპარლამენტო ოპოზიციის მოთხოვნები?**

– შეიქმნა ინტერფრაქციული ჯგუფი, სადაც წარმოდგენილი იქნება როგორც საპარლამენტო ფრაქციები, ასევე, არასაპარლამენტო პარტიები. შეთანხმება შედგა პარლამენტის თავმჯდომარესა და ვიცე-სპიკერ ზვიად ძიძიგურთან, ჩვენ შევთანხმდით, რომ შევიკრიბოთ ის პარტიები, ვინც ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე მეტ-ნაკლებად უკეთესი შედეგები დადო. კოალიცია „ქართული ოცნების“ მხრიდან წარმოდგენილი იქნება ყველა პარტია, ჩვენ ათი პარტია და დაგვემატა სალომე ზურაბიშვილის პარტია, ჩვენთან არიან „ლეიბორისტები“. გაიმართება პირველი მოთელვითი შეხვედრა და გავიგებთ, რა განწყობით არის კოალიცია, არიან თუ არა მზად დიალოგისთვის. კოალიციაში არის ხალხი, ვინც აცნობიერებს, რომ ქვეყანას სჭირდება რეფორმები, ჩვენ ვისაუბრებთ საარჩევნო კოდექსზე და საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, მთავარი ამოცანაა, შევქმნათ თავისუფალი და თანაბარკონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემო ადგილობრივი არჩევნების წინ.

— **„რესპუბლიკელები“ უალტერნატივო ოპოზიციად განიხილავდნენ „ნაციონალებს“, ვის ეკუთვნის იდეა, რომ პოლიტიკურ ველზე გააააქტიუროს არასაპარლამენტო ოპოზიცია? თუკი თქვენ გააქტიურდებით, ეს ნიშნავს, რომ ქართველ ხალხს აღარ უნდა ეშინოდეს „ნაციონალური მოძრაობის“ რევანშისა.**

– ასე რომ ფიქრობდნენ „რესპუბლიკელები“, ძალიანაც ცდებოდნენ, როგორც ჩანს, თავადვე მიხვდნენ, რომ აუცილებელი იყო, არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის გაეწიათ ანგარიში. მინდა დარწმუნებით გითხრათ, რომ „ნაცებს“ არანაირი პერსპექტივა აღარ აქვთ, ისინი ჯერ კიდევ ცოტა ხანს იტივტივებენ, მაგრამ ჩვენ შევეცდებით, რომ ადგილობრივ არჩევნებზე მათი ტივტივი დავასრულოთ. სწორედ ამას ემსახურება ჩვენი შეხვედრები, რომ შევქმნათ ისეთი საარჩევნო გარემო, სადაც ყველა პარტია თანაბრად იქნება პრივილეგირებული, „ნაციონალებს“ აქვთ რამდენიმე მილიონი ნაქურდალი ფული, პლუს დაფინანსება ბიუჯეტიდან, ხელისუფლებას აქვს მრავალი მილიონი, ამას დამატებული ივანიშვილის ფული, ასევე მათ სრულიად უსამართლოდ მინიჭებული აქვთ საკანონმდებლო დონეზე პრივილეგიები, ამიტომ ჩვენ უნდა ვიმუშაოთ, რომ ეს პრივილეგიები გავანეიტრალოთ. მაგალითად, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება საარჩევნო უბნებზე, ვის რამდენი კომისიის წევრი ეყოლება, ეს ცალკე თემაა, მაგრამ, ზოგადად, წარმოდგენისთვის გეტყვით, რომ „ქართულ ოცნებაზე“ საქართველოს მასშტაბით საარჩევნო კომისიებში მუშაობს 43 ათასი კაცი, „ნაციონალებზე“ 3 ათას 700 კაცი და ჩვენნაირ პარტიებზე – არავინ.

— **ეს გზა ხომ არ მიგვიყვანს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებამდე? ეს იდეა მუშავდება კულუარებში?**

– ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები სიტუაციამ უნდა მოიტანოს, მე მაქვს მაინც ისეთი განცდა, რომ ეს საკითხი კიდევ უფრო გააქტიურდება გაზაფხულზე თუ არა, შემოდგომაზე მაინც, რადგან „ქართული ოცნების“ მიმართ უნდობლობის ზრდა უპრეცედენტოდ მაღალია, იშვიათად მინახავს, ასე სწრაფად ვინმეს მოეხერხებინოს მწვერვალიდან უფსკრულისკენ დაშვება. ამას ჰქვია რეიტინგული მწვერვალიდან რეიტინგულ ჯურღმულში სვლა. რომ მკითხოს ვინმემ, ამას რატომ აკეთებს „ქართული ოცნება“, ერთგვაროვან პასუხს ვერ გავცემ. საქმე გვაქვს უპრინციპობასთან, ხშირ შემთხვევაში უვიცობასთან და ტოტალურ სწრაფვასთან ფუნებისკენ, რაც განაპირობებს მათი რეიტინგის ვარდნას.



„უკვე მეორედ სამარცხვინოდ მოიქცა სახალხო დამცველი. ეთანხმება თუ არა პატრიარქის ეპისტოლეს, ეს სხვა საქმეა, მაგრამ მან უფლება მისცა საკუთარ თავს, პატრიარქს აუკრძალოს მისი პირადი აზრის, მეტიც, ეკლესიური აზრის გამოთქმა და ქადაგება“

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ყველას უნდა მოსთხოვონ პასუხი, ვისაც...



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი პატიმრების წამების ფაქტზე პროკურატურის განცხადებას გამოეხმაურა.

„ძალიან მკაფიო სურათი ყალიბდება. ეს არ არის, რა თქმა უნდა, როგორც ამას ჩვენი ოპონენტები ამბობენ, ფსიქიკურად დაავადებული ადამიანის გონებაში წარმოქმნილი დანაშაულებრივი სქემა. ძალიან ბევრი ფაქტი ადასტურებს იმას, რომ ეს სისტემური დანაშაულია. აქ ლაპარაკია წამების ისეთ ფორმებზე, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის უკიდურესად საზიანოა და აგრეთვე, ლეტალურ შედეგს იწვევს. თუ გამოძიებამ ისიც დაადასტურა, რომ იქ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები იმყოფებოდნენ, ეს კიდევ ერთი დასტური იქნება იმისა, რომ მსგავს ფაქტებს სისტემური ხასიათი ჰქონდა... საკმაოდ მძიმე სურათი იხატება. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვმართებს, რომ ძალიან მოკლე დროში ჩვენმა სამართალდამცველებმა გამოიძიონ, შეფასება გააკეთონ და ყველას მოსთხოვონ პასუხი, ვისაც ასეთ სისასტიკეში ბრალი მიუძღვის. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ საქართველოს საშუალება მიეცეს, განავითაროს და განაგრძოს თავისი პოლიტიკური განვითარება და დაუახლოვდეს ევროპულ ოჯახს, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს პოლიტიკური ზარალი გაცილებით მეტი იქნება, თუკი ასეთი შემთხვევები სრულფასოვნად არ იქნება გამოძიებული“. – განაცხადა ვოლსკიმ.

ვოლსკის თქმით, საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ მომზადებული მასალა პროკურატურას გადაეცა, რათა უწყებამ ვითარების სამართლებრივი შეფასება გააკეთოს. (პირველი)

## წიკლაური საშობაო ეპისტოლეს შინაარსს არ ეთანხმება



„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი აცხადებს, რომ ხელოვნური განაყოფიერება და სუროგაცია მეცნიერების მიღწევაა და დასძენს, რომ ასეთი გზით დაბადებული ბავშვები დაღდასმული არ უნდა იყვნენ.

„საშობაო ეპისტოლეს შინაარსს კატეგორიულად არ ვეთანხმები. მეცნიერება და მედიცინა ვითარდება და ძალიან ბევრ ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე ამ სამეცნიერო პროგრესმა. მიმაჩნია, რომ ხელოვნური განაყოფიერება და სუროგაცია არის მეცნიერების ის მიღწევები, რომლებმაც სიცოცხლე აჩუქა ათასობით ბავშვს. ამ გზით დაბადებული საქართველოში რამდენიმე ათასი ბავშვია. ამ ოჯახებისთვის არის ძალიან დიდი ბედნიერება, რომ მათ ჰყავთ შვილები. ჩვენ თუ გვინდა, რომ უკვე ბავშვებსაც დაღი დავასვათ, რომ ისინი რაღაცით მეორეხარისხოვნები იყვნენ სხვა ბავშვებთან შედარებით, მიმაჩნია, რომ ეს არის გზა არსაით“, – განაცხადა წიკლაურმა. (პირველი)

**„ალიას“ ესაუბრება ყოვლადწმიდა სამების ტაძრის დიაკონი მამა ელიზბარ დიაკონიძე:**

– დავიწყოთ იქიდან, რომ შობის დღესასწაული მინდა, მივულოცო მთელ საქართველოს და, ეგება, ჩვენს გულებში იშვას, ბოლოს და ბოლოს, უფლისა და სამშობლოს სიყვარული. ჩვენი ეკლესიის მეთაური გვასწავლის, ვაჟას სიტყვებით, „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედაო“, ანუ უფალი და ქვეყანა ერთია ქართველი კაცისთვის და განსხვავება არ აქვს, ზეცაში იყურები, თუ მიწაზე დადიხარ, აქ შენი ხორცია და იქ – სული, ამიტომ სანამ ცოცხალი ხარ, ორივეს ერთნაირად უნდა მიხედო და მოუარო. მეტი როგორ ავხსნა, თუ რატომ უნდა მიყვარდეს ჩემი მიწა-წყალი და როგორ უნდა ჩაგიდო, შენ, ქართველო კაცო, ამ შობა დღეს გულში, რომ შენი ქვეყნისთვის თავიც უნდა გაწირო, სისხლიც უნდა დაანთხიო და შვილი „პადვალში“ კი არ უნდა დამალო, ცხრა ძმა ხერხეულიძის დედის მსგავსად, ის უნდა წავიდეს და ქვეყნისთვის იომოს და, თუ გაუჭირდება, უნდა მიხვიდე და მიეხმარო. ჩვენი ეკლესია დღეს ძალიან ცუდ დღეშია. მე, პირადად, განზრახული მაქვს, დავაწესო ახალი დღესასწაული – „პარასკეობა“. თურმე აგერ, რომელიმე მონაზონს დაესიზმრება რომელიმე წმინდანი და ამას ძილში გამოცხადებას დაუძახებს. ვგულისხმობ იმ ფაქტს, რაც ამჟამად მამა გაბრიელს აკადრეს. ეს საშინელი „ხუმრობა“.

**— ეს ხუმრობა იყო?**

– მე ბრჭყალებში ვსვამ ამ სიტყვას. შენ თუ მამა გაბრიელი წმინდანად მიგაჩნია, როგორ ბილწავ მის სახელსა და ავტორიტეტს? მართლა რომ დაგსიზმრებოდა, როგორ ამბობ ამას ხმამაღლა? თურმე ორი დღე გაიხსნება ცა და ნატვრებს ასრულებს (პაუზა)... ვერ გავიგე, კაშპიროვსკია, კაცო? წმინდანია მამა გაბრიელი, წმინდანი! თამარის საფლავი არ გვაქვს და რა ვქნათ? მაგრამ ხატი ხომ მაქვს და შემწეობა ხატს რომ ვთხოვო, არა? მაინცდამაინც საფლავთან უნდა მივიდე? და ზეგ რომ მივიდე მამა გაბრიელის საფლავთან, არ მომისმენს? კი, მაგრამ ზეთს რომ მატანს? თუ მარტო ორი დღე ყოფილა მისი, ზეთს მაშინ რა ძალა აქვს სხვა დღეებში? ეს არ არის შებღალვა? „კვირის ქრონიკაში“ რომ დაიბეჭდა თქვენთან თხუთმეტი შემზარავი ფაქტი საპატრიარქოზე ზეწოლისა და მე რომ ერთ მოყოლაში შემიძლია, თხუთმეტ ასეთ ზეწოლაზე მოვყვე? და ხვალ და ზეგ სხვა თხუთმეტზე? რუბრიკა შეგვიძლია გავაკეთოთ, ყოველდღიურად თხუთმეტი ფაქტი!



# „ფული შემოაკლდა და გაყიდა სიწმინდე!..“

## რომელი იღუმენის დასჯას ითხოვს მამა ელიზბარი?



რამდენიმე სულიერ მამასთან ერთად დავესწარი შობის ღამეს, იქ ვნახე, რომ ბერებიც კი შეძრწუნებულები არიან ამ ფაქტით, რომ მამა გაბრიელის და საერთოდ, ქართული ეკლესიის პატივი შეიბღალა. ერთ-ერთმა მამაომ მითხრა, შემიძლია ვთქვა, რომ ქართული ეკლესია აღარ არსებობსო. დამირეკა მრევლმა და მკითხა, მამაო, წავიდეო? ვუპასუხე, ეტყობა, პარასკევას ფული შემოაკლდა და (აღელვებული ყვირის) გაყიდა სიწმინდე! ეს არ არის ინდულგენცია, რაც პარასკევამ თუ ხუთშაბათამ მოიმოქმედა? ვწუხვარ, რომ საქართველოს ეკლესიას ამ ფაქტზე არ ჰქონდა შესაბამისი რეაქცია. ეს ადამიანი უნდა გამოათრიო იქიდან, ანდა სულაც ჩუმად გამოიყვანო, რადგანაც ის არის სარწმუნოებისა და შენი ოჯახის სიწმინდის მტერი. აი, საბოლოოდ, რა მოიტანა დაუსჯელობამ, რომ უკვე ზეცასაც შევწვდით.

**— არ გეწყინებათ, რომ გითხრათ? რაც ერიო, ის ბერიო, ანდაზა არსებობს...**

– ივანიშვილმა ერთხელ უკეთესი თქვა: რაც ბერიო, ის მრევლიო. ა, ბატონო! გიგი უგულავა როდემდე უნდა „გაგულავდეს“, მაპატიეთ, ჟარგონისთვის? ფარცხალაძის მაგალითზე მოვსინჯეთ ფხა და ხომ დავრწმუნდით, რომ ადეიშვილს ყველაზე აქვს ჩემოდანში კომპრომატები? ერთხელაც იტყვის უგულავა, დავმარცხდი და აღარ მინდაო და ახლა მასზე იტყვიან აქამდე უთქმელს, თუ, რას ამბობთ, სათქმელი არ აქვთ? ჩვენ რომ ვიცით 48 მილიონის ამბავი, იმან, ადეიშვილმა, უფრო მეტი იცის. იმ უგულავას 34 000 დოლარის ნალაპარაკები რომ აქვს თვეში, ეს რა ჯანდაბაა? ვიანგარიშეთ მე და ჩემმა მეგობარმა და გამოვთვალეთ, დღეში რამდენს ლაპარაკობდა და გავარკვიეთ, რომ უგულავას ერთი თვე ტელეფონი არ გამოურთავს და დღე და ღამ ვიღაცასთან ლაპარაკობს, ან ამას ელაპარაკებიან. ამას „კაგებეს“ სკოლის დამთავრება რად უნდა, რომ მიხვდე, ამ ფასად ევროპაში ტელეფონის გამოურთავად რომ რეკავ, ეს ადეიშვილია, ვისგანაც ინსტრუქტაჟს იღებ ყოველი შენი საქციელისთვის. რა გამოდის? რა და შენ კაცის კაცი ხარ და ვერასოდეს იქნები ჩემი კაცი. როდემდე შეიძლება ასე ხდებოდეს? აღარა კმარა, კაცო? უგულავამ ბრწყინვალედ იცის, რომ ვისგანაც მან ეს კომპრომატები მოიპოვა, თავად მასზეც დევს კომპრომატები და შენ, ახალო მთავრობავ, რომ ვერ შეეწინააღმდეგე, გამოდის, შენზეც დევს იქ, ხომ?

მეორე და მთავარი: აქ

*გაგრძელება მეათე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### შვილად აყვანაზე 3000-ზე მეტი განცხადებაა შესული



ჯანდაცვის მინისტრის, დავით სერგეენკო პატრიარქის ეპისტოლეში გაკეთებული განცხადების გამო აგორებულ აჟიოტაჟს გამოეხმაურა და განაცხადა:

„შვილად აყვანასთან დაკავშირებით, შემოსულია 3000-ზე მეტი განცხადება, მაშინ როდესაც გასაშვილებელი მხოლოდ 20 ბავშვია. როდესაც ოჯახს სურს აიყვანოს ბავშვი, რომელიც ფიზიკურად ჯანმრთელი იქნება, ასეთი ბავშვების რაოდენობა ცოტაა და დალოდების ვადა ხანგრძლივია, ხშირად წლები. საბედნიეროდ, არის შემთხვევები, ჩემი პირადი სანაცნობოდანაც ვიცი, როდესაც ოჯახი თანახმაა, ფიზიკური ნაკლით ბავშვი აიყვანოს, მაშინ ბევრად სწრაფად ხორციელდება ყველაფერი“, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

მისივე შეფასებით, სირთულე არა იმდენად გართულებულ რეგულაციაში, არამედ არსებულ სურათშია. „საბედნიეროდ, საქართველოში არ არის ბევრი დედა, რომელიც შვილს მიატოვებდა და გასაშვილებელ პირთა ჯგუფში ჩასვამდა“, – აღნიშნა დავით სერგეენკომ.

ჯანდაცვის მინისტრმა აბორტების შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ პრობლემა არა მარტო აბორტების რაოდენობაში, არამედ აბორტებისადმი დამოკიდებულებაშია. მისივე შეფასებით, კატასტროფაა არჩევითი აბორტები, როდესაც მშობლები მას შემდეგ, რაც შეიტყობენ, რომ გოგონას ელოდებიან ორსულობის შეწყვეტის გადაწყვეტილებას იღებენ. მისივე თქმით, მექანიკური აკრძალვა და რეგულაციების გამკაცრება უკუშედეგს იძლევა, როდესაც აბორტის კეთება იატაკქვეშეთში ინაცვლებს. მინისტრის ინფორმაციით, ასეთ შემთხვევაში, აბორტების რაოდენობა იმდენად არ მცირდება, რამდენადაც იზრდება რისკები და დედის გარდაცვალების საფრთხეები მატულობს.

მისივე ინფორმაციით, გასულ წელს, რეგისტრირებული აბორტების რაოდენობამ 37 000-40 000 შეადგინა. სამინისტროში ვარაუდობენ, რომ არარეგისტრირებული აბორტების რიცხვი ამაზე მეტია. (ინტერპრესნიუსი)

### კირკიტაძე მოწმედ დაიბარეს



ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის დავით კირკიტაძის თქმით, დღევანდელი ხელისუფლება მათ იმაში ედავება, რომ მათი მთავარი ამოცანა ხალხის დასაქმება იყო.

„გვედავებიან იმაში, რატომ გადავწყვიტეთ ხალხის დასაქმება, ისინი ფიქრობენ, რომ ეს იყო ამომრჩევლის მოსყიდვა და თანამდებობის ბოროტად გამოყენება. მაშინ, როცა საქართველოში ყოველდღიურად უმუშევართა რაოდენობა იზრდება, დღევანდელი ხელისუფლება დაკავებულია იმით, რომ ჩვენ დაგვკითხონ და მათი აზრით რაღაცებში გამოგვიჭირონ. ბუნებრივია, ვიყავით ჩართულნი ამ პროცესებში, რადგან მე, როგორც მხარის გუბერნატორს, მევალებოდა მთავრობის მიერ განხორციელებულ ყველა პროექტზე თვალყური მედევნებინა“, – განაცხადა კირკიტაძემ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესს ყოფილი პრემიერი ვანო მერაბიშვილი არ ესწრება. (პირველი)

## შაურმით მოწამვლის ფაქტს იკვლევენ

სურსათის ეროვნული სააგენტოს განცხადებით, ლესელიძის №12-ის შაურმის ნიმუშები შესაბამისი კვლევის ჩასატარებლად ლაბორატორიაში გადააგზავნეს.

თბილისში, ლესელიძის №12-ში შეძენილი შაურმით ინტოქსიკაციის ფაქტთან დაკავშირებით სააგენტო განცხადებას ავრცელებს, რომელშიც აღნიშნულია, რომ საშაურმე ეკუთვნის შპს „ლესელიძე-2014“-ს, რომელიც სამეწარმეო რეესტრში ბიზნესოპერატორად 2013 წლის 18 დეკემბერსაა რეგისტრირებული.

„რეგისტრაციის თარიღის გათვალისწინებით, აღნიშნულ საშაურმეში სურსათის ეროვნულ სააგენტოს გეგმური ინსპექტირება არ განუხორციელებია. თუმცა, ინფორმაციის მიღებისთანავე სააგენტოს თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა მონიტორინგის ფარგლებში შაურმის ნიმუშები აიღეს და შესაბამისი კვლევის ჩასატარებლად ლაბორატორიაში გადააგზავნეს. გარდა ამისა, შპს „ლესელიძე 2014-ში“ განხორციელდება არაგეგმური ინსპექტირება, რომლის შედეგების საფუძველზე მიღებული იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული გადაწყვეტილებები, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება საზოგადოებას“, – ნათქვამია განცხადებაში.

ცნობისთვის: ლესელიძის №12-ში შეძენილმა შაურმამ 7 იანვარს ცხრა ადამიანის კვებითი ინტოქსიკაცია გამოიწვია.

(ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „ფული შემოაკლდა და გაყიდა სიწმინდე!..“

## რომელი იღუმენის დასჯას ითხოვს მამა ელიზბარი?



**„ნამდვილად გულით იდგა პრემიერი... ეგ სააკაშვილი იყო, რომ დარბოდა წინ და უკან. ღარიბაშვილი ახალგაზრდა კაცია, ვინც პატრიარქის პერიოდში დაიბადა და მისთვის უცხო არ არის ეკლესიასთან ურთიერთობა“**

უხედავად ამისა, იმედს მაინც არ ვკარგავ. გველის წელიწადი იყო და წასრიალდეს, მოვიდა ბედაურისა და ვაჟკაცობის წელი და უნდა გაგვიმართლოს, წესით. მოდი, ერთ რამეს გეტყვით: თქვენი შვილი საფრანგეთში ცხოვრობს და ვერ დამაჯერებთ, რომ ის ყოველ წამს არ გენატრებათ. რაგბისტია თქვენი შვილი და რატომ არ უნდა იყოს საქართველოში, რატომ უნდა თამაშობდეს ფრანგად ლიონში? იმიტომ საქმე გვაქვს ვითომ დასრულებულ კოჰაბიტაციასთან: ფარცხალაძე დანიშნეს, მერე უგულავამ ეს ამბები თქვა და მოხსნეს, რატომ? იმიტომ რომ კარგი ბიჭები ვართო, ოპოზიციის საღ აზრს რომ ვიზიარებთო. მე ჩემზე და თქვენზე ვბრაზდები ამ დროს, რა ხდება? მარტო მეხუთე სადღეგრძელოში ვართ ქართველები? დანარჩენი ვინ ვართ? ესაა საშინელება და თუ არ დაესვა წერტილი, გადავშენდებით. აქეთ მივყავართ ევროპას, რომ გვერქმევა სახელმწიფო №11.

**— 11 კარგი რიცხვია, ეს, ალბათ, იმ შემთხვევაში, თუ კარგად მოვიქცევით, თუ უვარგისად მიგვიჩნიეს, წყვილ ციფრს არ მოგვცემენ და ვიქნებით 31.**

– ალბათ... მაგაზე ანეკდოტი გამახსენდა. კახელი რომ ბალღს „ჭლრპლრ“-ს უმღერის, რამდენიც ხმოვანი ვთქვი, იმდენი შაირი ამომძახეო და ამ „ჭლრპლრ“-ზე ვერაფერს ეუბნეოდა ბალღი. სულ მალე ჩვენც მაგ „ჭლრპლრ“-ს დაგვარქმევენ. მირომ ის ფრანგი გიფრთხილდება და აქაური – არა? მაგაშია საქმე. აქ კი არ მიფრთხილდები, ყველაფერს აკეთებ იმისათვის, რომ მე ამ ქვეყანას მოვცილდე და წავიდე.

**— ეპისტოლეზე არაფერს გეკითხებით, იმდენი ითქვა ამ დღეებში ამაზე.**

– მაგაზე მარტო ერთს ვიტყვი, რაც ერთი გადახედვით ვნახე: სექსუალური უმცირესობის უფლებები არ უნდა დაირღვესო. მოდი, ქალაქურად ვიკითხოთ, „სადა ბანაობთ“? შარშან სოდომგომორული ცოდვის ფაქტი არქიდიაკონს დავაბრალეთ, ამოიღო ეპისტოლედანო და არქიეპისკოპოსი არ გახლავთ ის კაცი, ვინც ამას უნებართვოდ გააკეთებდა. მას პირადად ვიცნობ, ჩემი მეგობარი და საუკეთესო კაცია და ასეთი რამე რომც გააკეთებინა, იმას დასჯიდნენ. არადა, არ დაუსჯიათ. ახლა უკვე იმაზე დაიწყეს ლაპარაკი, რომ გავუფრთხილდეთ უმცირესობებსო? და პარასკევას არ ვგმობთ? ამიტომ ვამბობ, შემოვიღოთ, პარასკევობის დღესასწაული, გამოვიდეთ და ვთქვათ, დღეს გაიხსნება ცა და წმინდა გიორგი (პირჯვარს იწერს) სურვილებს ასრულებსო. ისე, დიდმოწამე წმინდანია და ეგება, სამიც აასრულოს! „შანგრილაში“ ერთი მილიონი ჯეკპოტი მომახსნევინეო, თუ ვითხოვ, შემისრულებს, ხო, წმინდანი, ამას? ხმამაღლა ვიტყვი და ვისაც უნდა, ეწყინოს: ტვინგაყინული მივიდა, ამის სათხოვნელად ვინც მივიდა! სახლში რომ გიდევს, იმ ხატს რატომ არ სთხოვ, კაცო? აი, ამას ემსახურება ბატონი ივანიშვილის ფრაზა, უფალმა სიმართლე ათქმევინა...

**— შობის წირვას ვინც დაესწრო, მისგან ვიცი, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა პრემიერი წირვას თავიდან ბოლომდე ფეხმოუცვლელი დაესწრო.**

– კი, მართალია! ნამდვილად გულით იდგა პრემიერიც და ნარმანიაც. ეგ სააკაშვილი იყო, რომ დარბოდა წინ და უკან. ღარიბაშვილი ახალგაზრდა კაცია, ვინც პატრიარქის პერიოდში დაიბადა და მისთვის უცხო არ არის ეკლესიასთან ურთიერთობა. დიახ, შენ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის პრემიერი ხარ და ღირსეულად იქცევი. ბიძინამ დაგასახელა, მაგრამ ვინ ჩადო მის გონებაში შენი პრემიერობა? უფალმა, ხომ? ის გენდობა და ეს რომ არ გაამართლო, მარტო ელიზბარსა და დარეჯანს და თამარს კი არ აწყენინებ, უფალს აწყენინებ და იქ ბოლომდე დგომა მე, დიაკვანმა, იმით კი არ დაგიფასე, რომ შენ კარგი გამძლეობა გქონდა, ამაში მინდა დავინახო, რომ შენ უფლისგან ბოძებულ ნიჭს ავლენ, იქ დგახარ და ლოცვაშიც გამოხატავ უფალთან დამოკიდებულებას.



**— ჩვენი მკითხველები თქვენგან ახალ ინფორმაციებს ელოდებიან ყოველთვის...**

– საოცრად ცუდი ინფორმაციები იყრის თავს ჩემთან ახალ და ძველ ხელისუფლებას შორის მიმდინარე კოჰაბიტაციაზე. რასაც იმ დროს ჰქონდა ადგილი, უპრაგონოდ რომ ხდებოდა მიწების, ქარხნების გაყიდვა, ეს ახალი ხელისუფლება უსუსურია და ვერაფერს აკეთებს. და ვერ კი არა, არც გააკეთებს ერთი უბრალო მიზეზის გამო: მოგვაჯდა თავზე და იმას თუ ახლა ამან წაართვა, ეგება თავის სახელზე გადმოიწეროს.

**— გაქვთ კონკრეტული მაგალითები?**

– კი. ამ ცოტა ხანში ეს ყველაფერი დოკუმენტურად მინდა დადასტურდეს და „ალიას“ საშუალებით ვიტყვი, რაში მდგომარეობდა რუსთავის „აზოტის“, მეტალურგიული ქარხნების წართმევა-დაბრუნების აქტები. როგორ გამოიყვანეს ვანო ციხიდან და როგორ შეიყვანეს უკან.

**— მართლა ისეა გამოყვანილი, როგორც თვითონ ამბობს?**

– თვითონ ითხოვა პროკურორთან შეხვედრა და შეახვედრეს. მაინტერესებს, მე რომ ვიყავი პატიმარი და ვითხოვდი პროკურორს, რატომ არ გავყავდი? ვანო მისი ნებართვით და თხოვნით არის საკნიდან გამოყვანილი და ესაა დაფიქსირებული კამერით. მაგრამ მერე ვის შეხვდა, ფარცხალაძეს თუ გიგიაშვილს, მაგას მნიშვნელობა აღარ აქვს. დაფიქსირებულია, რომ ციხეში კამერასთან გაიარა, ამა და ამ დროს. მისი დაყენებულია ეგ კამერები და ყველაფერიც იცის. ამ დროს ეს ახალი და ძველი მთავრობა ერთად უკრავს ყველაფერზე ტაშს. ჩვენ ვაკრიტიკებდით ივანიშვილს ამათი მოყვანის გამო. ერთხელაც, შეიძლება, გათენდეს და მას მადლობაც ვუთხრათ, რომ ჩვენი ნერვებისა და მოთმინების ფასად მთელ მსოფლიოს დაანახა, რა ნაგვებიც არიან ესენი, ერთმანეთზე მიყოლებულები. ცოტა ამ ახალგაზრდა ბიჭების უფალთან დილამდე დგომამ ჩამისახა იმედი, რომ ეგება არ გაირყვნან, თორემ ხელისუფლების ძალიან დიდი უმრავლესობა გარყვნილია უკვე.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქსნის ტუბზონიდან 5 ექიმი გაათავისუფლეს




სასჯელაღსრულების სამინისტრომ ქსნის №19 დაწესებულებაში პატიმრის გარდაცვალების შემთხვევის შესწავლა დაასრულა და 5 ექიმი სამსახურიდან გაათავისუფლა.

სამინისტროში პრესსპიკერის ირაკლი კორძაიას განცხადებით, სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ და დეპარტამენტის სამედიცინო რეგულირების სამმართველომ 2014 წლის 2 იანვარს, 12:30 საათზე სასჯელაღსრულების №19 ტუბერკულოზის სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრში მსჯავრდადებულ დათა ბობოხიას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით სამსახურებრივი შემოწმება და შემთხვევის შესწავლა დაასრულა. შედეგად კი დადგინდა, რომ მსჯავრდადებულ დათა ბობოხიას, რომელიც მუცლის არეში ძლიერ ტკივილებს უჩიოდა, არ გაეწია ადეკვატური სამედიცინო დახმარება და სამედიცინო პერსონალის მხრიდან დაშვებული შეცდომების გამო არ მოხდა მისი დროული გადაყვანა შესაბამისი პროფილის საავადმყოფოში, რასაც მისი გარდაცვალება მოჰყვა.

„მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ჯერ ცნობილი არ არის, სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ და სამედიცინო დეპარტამენტის რეგულირების სამმართველომ მიიჩნიეს, რომ ექიმებმა დაუშვეს უხეში შეცდომა და ვერ უზრუნველყვეს ადგილზე პაციენტისთვის ადეკვატური სამედიცინო მომსახურების გაწევა. მიუხედავად, სამედიცინო ჩარევებისა, ასევე ვერ უზრუნველყვეს პაციენტის დროული გადაყვანა და მისი სპეციალიზებული დახმარების გაწევა“, – განაცხადა ირაკლი კორძაიამ.

მისი თქმით, №19 ტუბერკულოზის სამკურნალო სარეაბილიტაციო ცენტრის 5 ექიმი – თ.დ, დ.კ, ლ.ჯ, თ.დ. და ვ.ჯ. დათხოვილი იქნენ სამსახურიდან.

„თანამდებობას დატოვებს და დაქვეითდება ცენტრის მთავარი ექიმი ლ.ც. რომელმაც ვერ უზრუნველყო კოორდინაცია, საჭირო გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება პაციენტის ინტერესის შესაბამისად“, – განაცხადა კორძაიამ.

მისი თქმით, შემდგომი რეაგირებისა და სისხლის სამართლის საქმეზე დართვის მიზნით მასალები გენერალური ინსპექციის მიერ საგამოძიებო დეპარტამენტში გადაიგზავნა. აღნიშნულ ფაქტზე კი სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო. (ინტერპრესნიუსი)

## გუბერნატორმა მოადგილეები წარადგინა



სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ მოადგილეები წარადგინა. გუბერნატორის მოადგილეებად კობა ქანთარია და ხვიჩა ჯიშკარიანი დაინიშნენ. ჯიშკარიანი გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბის რეგიონის კოორდინატორი იყო, ხოლო ქანთარია რეგიონის „წყალკანალის“ უფროსის პოსტს იკავებდა.

როგორც გუბერნატორის მოადგილეები აცხადებენ, მათთვის მთავარი პრიორიტეტი დასაქმება და რეგიონში ინვესტიციების მოზიდვა იქნება.

(ინტერპრესნიუსი)

# ორგანიზაცია, რომელიც აჭარის ისლამურ რესპუბლიკად გადაქცევას აპირებს


რომან კვიციანი

**რას წარმოადგენს საქართველოში მოქმედი თურქული ჰუმანიტარული ორგანიზაცია „IHH“? რა პროექტებს აფინანსებს და რა უნდა საქართველოსგან? როგორ აპირებენ აჭარის ისლამურ რესპუბლიკად გადაქცევას და ვინ დებს ამაში სერიოზულ კაპიტალს?**

**„ალიას“ საქართველო-თურქეთის ახალგაზრდა თურქოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარე რომან კვიციანი ესაუბრა:**

**— ერთ საეჭვო თურქულ ორგანიზაციაზე უნდა გვესაუბრა. რა ორგანიზაციაა, რას საქმიანობს?**

– არსებობს თურქეთში ასეთი ორგანიზაცია „IHH“. ეს ორგანიზაცია შექმნილია 1992 წლიდან და მისი მიზანი მსოფლიოს მასშტაბით გაჭირვებულ და ომის შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარება. ის ეხმარება ყველას, რელიგიის, ეროვნების და რასის მიუხედავად. ანუ ამ ორგანიზაციის მიზნები კეთილშობილურია. ხოლო მედლის უკანა მხარეს რა ხდება, ეს სულ სხვა საკითხია.

ამ რამდენიმე დღის წინ მათი ორგანიზაცია თურქეთში იარაღის კონტრაბანდის საქმეში გაეხვია, თუმცა მოგვიანებით ორგანიზაციის ცენტრალურმა ხელმძღვანელობამ ამ საქმესთან კავშირი უარყო. პრესაშიც სხვა მიმართულებით გავრცელდა ინფორმაცია და მათი სახელი აღარ იქნა ნახსენები და საქმე უშიშროების სამსახურს გადაბრალდა. ამ ფაქტს იმიტომ ვყვები, რომ ეს ორგანიზაცია საქართველოშიც საქმიანობს და სათანადო ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, რადგან მძიმე ფაქტები გავიგე მათ შესახებ. საქმე იარაღის სხვადასხვა ქვეყნებში შეტანას ეხება.

ამ ცოტა ხნის წინ ამ ორგანიზაციას ტვირთი მიჰქონდა სირიაში. კოლონა გააჩერეს, მაგრამ გაურკვეველი მიზეზებით ჩხრეკის ჩატარება ვერ მოხერხდა. ამის მიუხედავად, უცხოური მედია უკვე ღიად წერს იმის შესახებ, რომ ტრაილერზე სამხედრო ტვირთი იყო, რომელიც სირიაში ამბოხებულების დასახმარებლად იგზავნებოდა. უცხოურო მედიაც, თურქული მედიაც და ოპოზიციის წარმომადგენლებიც იგივე აზრზე არიან, ვინაიდან აღნიშნული ტრაილერის პირველადი დათვალიერების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მასზე დიდი ოდენობით იარაღი და ტყვიაწამალი იყო. თუმცა პროკურატურას საშუალება არ მიეცა აღნიშნული ტრაილერი გაეჩხრიკა, რამაც ეს ეჭვები კიდევ უფრო გაამყარა.

**— რატომ არ მისცეს დათვალიერების საშუალება, ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ ორგანიზაციის უკან სერიოზული ლობისტები დგანან?**

– ტრაილერს უშიშროების თანამშრომლები აცილებდნენ და ჩხრეკაზე უარის თქმის მოტივი იყო ის, რომ ტრაილერით სახელმწიფო საიდუმლოება გადაჰქონდათ და პროკურატურას არ ჰქონდა ჩხრეკის ჩატარების უფლებამოსილება. ასევე, საქმეში ჩართულა შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომ ჩხრეკის უფლება არ მიეცათ.

**— კარგით, რა სკანდალები უკავშირდება ამ ორგანიზაციას, გასაგებია. ახლა საქართველოზე გადმოვერთოთ, ჩვენთანაც შემოაქვთ სამხედრო ტვირთი?**

– ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვი, რომ საქართველოში იარაღი შემოაქვთ, თუმცა, სურვილის შემთხვევაში, არა მგონია, მსგავსი ქმედების განხორციელება პრობლემას წარმოადგენდეს. სასაზღვრო ზოლის კონტროლი არც ისე კარგად ხდება, მით უმეტეს საქართველოს ჯერ არ გააჩნია ისეთი ტექნიკური და ადამიანური რესურსები, რომ საზღვრების მთლიანი ზოლი იყოს დაცული. გარდა ამისა, საქართველოში რაიმე სახის არეულობის არსებობის შემთხვევაში მათ არ გაუჭირდებათ მომხრეებისა და თანამოაზრეების პოვნა საქართველოში.




საქართველოში ბოლო პერიოდში ძალიან მწვავედ დგას მუსლიმანების საკითხი და სამწუხაროდ, გახშირდა პროვოკაციები. აღნიშნული ორგანიზაციის ძირითადი მიმართულებაც საქართველოში სწორედაც ეს ნაწილია. სამწუხაროდ, ვერ გამოვრიცხავთ ექსტრემიზმის შესაძლებლობას. ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ არსებობს თანამოაზრეთა ჯგუფი, რომელიც პროვოკაციების მოწყობითაა დაკავებული. კონკრეტულად, მინარეთისა და ჭელას მოვლენებს ვგულისხმობ. პრობლემები, რისი მოგვარებაც ყოველგვარი ხმაურისა და აჟიოტაჟის გარეშე იყო შესაძლებელი, კინაღამ სისხლისღვრამდე მივიდა.

**— რასაც მეუბნებით, მათ შორის იარაღის შემოტანის საფრთხე, ეგ ჩვენი უსაფრთხოების სამსახურებმა იციან? ან თქვენ თუ უთხარით. რაღაც, არ გაგვიგია, რომ რამე ოპერაცია ჩაატარეს?**

– მე გეუბნებით იმას, რაც ვიცი. ჩვენმა უსაფრთხოების სამსახურებმა თუ აღნიშნული ორგანიზაციების შესახებ იციან და შესაბამის ღონისძიებებსაც ისე ატარებენ, რომ ეს ფართო საზოგადოებისთვის უცნობია, ეს მისასალმებელიცაა, მაგრამ ამ შემთხვევაში მარტო უსა-

*გაგრძელება მეთორმეტე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სოჭში პროვოკაციას გვიმზადებენ?



„ევროპელი დემოკრატების“ ლიდერს, პაატა დავითაიას მიაჩნია, რომ საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა, მსოფლიო ოლიმპიურ კომიტეტს უნდა მიმართოს.

„მინდა, ვაცნობო საზოგადოებას, რომ სოჭში მზადდება სერიოზული პროვოკაცია საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, საუბარია სეპარატისტების გამოყენებასა და სეპარატისტული სიმბოლიკის გამოფენაზე ყველა მიმართულებით. უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ყველა სტუმარს, ვინც კი ჩავა სოჭში, დახვდება აფხაზური ნომრით აფხაზური დროშებით მანქანები. დაგეგმილია, რომ ოლიმპიური თამაშების პერიოდში მოხდეს ბუკლეტების დარიგება და პიარის გაკეთება, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, რომელიც არის განლაგებული სოჭთან ახლოს და მოხდეს ამისი რეკლამირება. აგრეთვე, დაგეგმილია გარკვეულ ღონისძიებებში აფხაზური დროშით რუსულ დროშასთან ერთად სპორტსმენების გადაადგილება. საუბარია, რომ ერთ-ერთი სპორტსმენი, რომელიც იქნება რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი, აფხაზურ დროშას გამოიტანს. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რათა გავაფრთხილოთ ოლიმპიური კომიტეტი. საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა უნდა მიმართოს მსოფლიო ოლიმპიურ კომიტეტს და დააყენოს საკითხი, რათა გარკვეული პრეზუმფცია იქნას შემუშავებული იმასთან დაკავშირებით, რაც დაგეგმილია ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. აგრეთვე, აღნიშნული ქმედება შეურაცხყოფაა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისა და ქვეყნების, რომლებიც აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის სუვერენიტეტს. ეს ინფორმაცია გამაჩნია თვითონ აფხაზური ოლიმპიური კომიტეტიდან“, – განაცხადა დავითაიამ. (პირველი)

## სასამართლომ ციხის ყოფილი ხელმძღვანელები გაამართლა



ადვოკატ ირმა ჭკადუას განცხადებით, საქმე ეხება სასჯელაღსრულების მე-15 დაწესებულების ყოფილი დირექტორისა და მისი მოადგილეების საქმეს, რომელსაც გორის საქალაქო სასამართლო 9 თვის განმავლობაში იხილავდა.

ჭკადუას განცხადებით, ბრალდებულები გამამართლებელი განაჩენით სასამართლოს დარბაზიდანვე განთავისუფლდნენ.

„გორის სასამართლოში 9 თვეა, იხილებოდა ქსნის სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის თოლორდავასა და მისი მოადგილეების – ფარჯანაძის, ლეჟავასა და ჩხეიძის სისხლის სამართლის საქმე არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე. ამ ხნის განმავლობაში ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა წარმოადგინეს უამრავი მტკიცებულება. სასამართლომ მიიღო აბსოლუტურად სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება და აღნიშნული პირები სხდომის დარბაზიდან გამამართლებელი განაჩენით გაათავისუფლა“, – განაცხადა ჭკადუამ, რომელიც ფარჯანაძის ინტერესებს იცავდა. (პირველი)

## მსჯავრდადებულის გადარჩენისას ინსპექტორ-კონტროლიორი დაიჭრა

სასჯელაღსრულების №15 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის ინსპექტორ-კონტროლიორი გოჩა ბაშარული მსჯავრდადებულებს შორის დაწყებული დაპირისპირებისას დაიჭრა. ბაშარული სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ დიმიტრი დარბაისელმა მოინახულეს.

მინისტრმა სამსახურებრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებისა და სამინისტროს წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში განსაკუთრებული ღვაწლისთვის გოჩა ბაშარული მედლით დააჯილდოვა და გამოჯანმრთელება უსურვა.

„2014 წლის 7 იანვარს, მსჯავრდადებულთა საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთ საკანში მსჯავრდადებულ ზ.ჟ-სა და გ.ს-ს შორის დაიწყო სიტყვიერი დაპირისპირება, რომელიც რამდენიმე წუთში ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. დაპირისპირების მომენტში ზ.ჟ-მ დღის განათების ნათურა მოხსნა და შეეცადა, სხეულის დაზიანება მიეყენებინა მსჯავრდადებულ გ.ს-სთვის. სიტუაციის განმუხტვის მიზნით, საკანში შევიდა ინსპექტორ-კონტროლიორი გოჩა ბაშარული, რომელმაც გაანეიტრალა ზ.ჟ. და დაჭრის საფრთხე აარიდა მსჯავრდადებულ გ.ს-ს. სწორედ ამ მომენტში, ინსპექტორ-კონტროლიორი ზ.ჟ-სგან მოქნეული ნათურით დაიჭრა. დაზარალებული მყესების მრავლობითი დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას მიკროქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა. გოჩა ბაშარულის მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია.

ბაშარული სამხრეთ ოსეთის რეგიონიდან, კერძოდ, ახალგორის რაიონიდან დევნილია. ის პენიტენციური სისტემის ერთ-ერთი კვალიფიციური თანამშრომელია“, – აცხადებენ სამინისტროში.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიება უკვე დაიწყო. (პირველი)



# ორგანიზაცია, რომელიც აჭარის ისლამურ რესპუბლიკად გადაქცევას აპირებს

*მეთერთმეტე გვერდიდან*

ფრთხოების სამსახურები არ კმარა. აქ სამოქალაქო საზოგადოებაც უნდა იყოს საქმის კურსში და იცოდეს, რა ხდება. ეროვნულ უსაფრთხოებას მარტო სპეცსამსახურები ვერ უზრუნველყოფენ. თუკი საქართველოში არეულობა მოხდება, მათ უპრობლემოდ შეეძლებათ ჩვენს ქვეყანაში არსებული გარკვეული რელიგიური ექსტრემისტული ჯგუფების იარაღით მომარაგება

**— როგორც ვიცი, თურქეთს ძლიერი სასაზღვრო-საბაჟო სამსახური აქვს და რანაირად გამოატარებენ საზღვარზე იარაღს?**

– დიახ, მართალი ხართ, ძლიერი სასაზღვრო სისტემა გააჩნია თურქეთს. თუ რანაირად გამოატარებენ იარაღს, ალბათ, ისევე, როგორც სირიის შემთხვევაში მოხდა, ან საბაჟოს გვერდის ავლით. საბედნიეროდ, საქართველოში მშვიდობაა და ქვეყანა არეული არაა, რაც იმის გარანტიებს გვაძლევს, რომ ამ ეტაპზე მსგავსი ქმედების განხორციელება თითქმის შეუძლებელია. თუმცა ქვეყანას წინ მრავალი გამოწვევა აქვს და აღნიშნული ფაქტების შესაბამისად, მზად უნდა იყოს მოვლენების ყველა სახის განვითარებისთვის. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში საზღვრის იმ ნაწილზე, რომელზეც კონტროლი არაა ან ვერაა, კარგად მოქმედებენ კონტრაბანდით დაკავებული დაჯგუფებები. ასეთი სხვა გზები კი საქართველოშიც იქნება, რა თქმა უნდა.

**— ადგილობრივი მუსლიმანების პოზიცია როგორია ამ ორგანიზაციასთან დაკავშირებით? აქ მყარი საყრდენი აქვს ამ ორგანიზაციას?**

– მოდით, საქართველოს სოციალურ მდგომარეობას გადავხედოთ, სადაც მრავლადაა გაჭირვებული. მათთან მოდის ვიღაც კეთილშობილი პირი და წელიწადში ერთხელ მაინც რაღაცით ეხმარება. მის მიმართ როგორ შეიძლება ადამიანი უარყოფითად განეწყოს? საქართველოში როგორც ქალაქად, ასევე სოფლად, მით უმეტეს მაღალმთიან რეგიონებში, მოსახლეობას ძალზე უჭირს. მათ არ აქვთ იმის ფუფუნება, დახმარებაზე უარი თქვან, მით უმეტეს, როდესაც ამას „არაფრის“ სანაცვლოდ გაძლევენ. ხოლო ის კატეგორია, რომელიც მართლაც იყიდება ფულზე და ფულისთვის ყველაფერზეა წამსვლელი, კარგადაა შენიღბული და მათი გაშიფვრა რთულია.

**— როგორც თქვენი პასუხიდან ვხვდები, საყრდენს იმზადებენ? საქართველოში რა თანხას ხარჯავენ მაინც, თუ იცით?**

– რამდენს ხარჯავენ საქართველოზე, მათი ხარჯების ზუსტი ოდენობის დადგენა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. თუმცა ეს ორგანიზაცია და მისი ფილიალები ბიუჯეტების სიმცირეს ნამდვილად არ უჩივიან. ამიტომ ვშიშობ, რომ შეუძლიათ რელიგიური ესტრემისტებიც წაახალისონ.

**— მოდით, უფრო დავაკონკრეტოთ, რა პროექტებს აფინანსებენ საქართველოში?**

– ეს ორგანიზაცია, როგორც მოგახსენეთ, მსოფლიოს მასშტაბით გაჭირვებულ ხალხს ეხმარება. სწორედ ამის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით მცხოვრებ გაჭირვებულ მუსლიმან ოჯახებს ყოველ ისლამურ დღესასწაულზე ჰუმანიტარული პროდუქტებით ეხმარება. პანკისის ხეობაში მოსახლე მუსლიმანებისთვის კი ერთი მეჩეთი და 5 სამლოცველოც ააგო. საქართველოში გამართული ისლამური დღესასწაულები, ასევე, ამ ორგანიზაციის ფინანსებით იმართება. ამასთანავე, საქართველოში არსებობს არასამთავრობო ორგანიზაცია „მიზანი“, რომელსაც უფინანსებს გარკვეულ პროექტებს. ის ოფიციალურად აჭარაში მცხოვრებ ხელმოკლე ოჯახებს პერიოდულად ჰუმანიტარული ტვირთით ამარაგებს. დახმარების სანაცვლოდ, ორგანიზაციის წევრები საქართველოში მცხოვრებ მუსლიმანურ ოჯახებს უფასო განათლებას ჰპირდებიან. ახალგაზრდებს ისლამს ჯერ ბათუმში ასწავლიან, ყურანს აზეპირებინებენ და მოგვიანებით „საუკეთესო“ მოწაფეებს თურქეთში სასულიერო სასწავლებელ მედრესეში აგზავნიან. ამზე გაკვრით ადრეც იყო საუბრები, მაგრამ მე ახლა იმ კონკრეტულ ორგანიზაციას ვასახელებ, რომელიც ასეთი საქმიანობითაა დაკავებული.

მუსლიმან ქართველებს თურქეთში ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები ექსკურსიებს უწყობენ და სწავლების პერიოდში მათ ყველანაირ პირობებს უქმნიან. მოგვიანებით, სასწავლებლის დასრულების შემდეგ, ეს ქართველი ახალგაზრდები თურქეთიდან სამშობლოში ბრუნდებიან. „მიზანმა“ აჭარაში ყურანის კურსები დააარსა. რა თქმა უნდა, ყველამ უნდა იცოდეს ის, რაც სწამს. აქ, უბრალოდ, კითხვის ნიშანს აჩენს ის ფაქტი, რომ ყურანს ქართულად კი არა, არაბულად ასწავლიან. ორ წელიწადში ყურანი დააზეპირებინეს ახალგაზრდებს.

შემდეგ „IHH“-ს ერთ-ერთმა რეგიონულმა წარმომადგენლობამ ამ ახალგაზრდების თურქეთში ექსკურსია დააფინანსა და მათგან 5 სასულიერო სასწავლებელში გაგზავნა. ამ ხალხმა დაიწყო საინფორმაციო კამპანია სოციალურ ქსელებშიც კი. ამ კამპანიის მიხედვით, აქ აჭარა გამოყოფილია ცალკე და ის საქართველოს ნაწილი არაა. ანუ ჰუმანიტარული ორგანიზაციის საფარქვეშ ჩვენს მოქალაქეებს სეპარატისტებად აყალიბებენ. ფართოდაა მუქარები საქართველოს სახელმწიფოებრიობისადმი. აღნიშნული გვერდის ადმინისტრატორი თურქეთის მოქალაქე სტუდენტია.

მას ვესაუბრე და ის ცალსახად აფიქსირებს, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს ტერიტორიებია, მაგრამ აჭარა არაა საქართველოს ნაწილი. ასევე აღნიშნავს, რომ ისინი მხარს უჭერენ ქურთების ისლამურ კავშირს, რომელიც ქურთისტანისთვის იბრძვის. ეს კი ტერორისტული დაჯგუფებაა და რაც ყველაზე საინტერესოა, მისი განცხადებით ამ აზრს – აჭარის ისლამური რესპუბლიკის დაარსებას თურქეთში მოსწავლე აჭარელი სტუდენტებიც ემხრობიან და იდეაც მათგან მოდის. ეს ყველაფერი კი ამ მუშაობის შედეგადაა მიღწეული. დიახ, ეს ორგანიზაციები და ჯგუფები, ვინც ამ ნაღმებს ამზადებს, მათ მოქმედებაში მოსაყვანადაც ემზადებიან.



ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ოლიმპიელები პრემიერ-მინისტრს შეხვდებიან



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ლერი ხაბელოვის განცხადებით, სპორტსმენებთან შეხვედრის სურვილი თავად ირაკლი ღარიბაშვილმა გამოთქვა.

„დეკემბრის ბოლოს, ოლიმპიურ კომიტეტს პრემიერთან შეხვედრა ჰქონდა, რომელსაც ჩვენი გენერალური მდივანი ესწრებოდა. როგორც შეხვედრაზე გახდა ცნობილი, ალბათ, 20-დან 30 იანვრამდე რომელიმე დღეს, ოლიმპიურ კომიტეტში სპორტსმენებთან შესახვედრად პრემიერი მოვა“, – განაცხადა ხაბელოვმა.

„სპორტსმენები უცხოეთში არიან – სამი მათგანი ავსტრიაში ემზადება, ელენე გედევანიშვილი კი კანადაში. მათი მომზადების პროცესი დასკვნით ფაზაშია. ისინი თბილისში, სავარაუდოდ, თვის ბოლოს ჩამოვლენ და გვინდა მათ შევხვდეთ. ჩვენ, ალბათ, კომიტეტის აღმასკომის სხდომასაც ჩავატარებთ და სოჭის ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე გარკვეულ საკითხებს სხდომაზე გავივლით“, – აღნიშნა ხაბელოვმა.

მისივე თქმით, ღონისძიებაზე გასამგზავრებელ დელეგაციაში დაახლოებით, 17 ადამიანი შედის, მათ შორის, სპორტსმენების მწვრთნელები არიან. ისინი სოჭში, სავარაუდოდ, 4 ან 5 თებერვალს ჩავლენ.

ცნობისთვის, ოლიმპიადა 7-დან 23 თებერვლის ჩათვლით გაიმართება. (პირველი)

## პროკურატურამ წამების 170 ფაქტზე გამოძიება დაიწყო



ყოფილი ხელისუფლების პირობებში, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებსა და პოლიციის განყოფილებებში დაკავებულთა მიმართ განხორციელებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, საქართველოს პროკურატურაში გამოძიება დაიწყო 170 დანაშაულზე, ხოლო დევნა – 52 პირის მიმართ.

მათ შორის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, სასჯელაღსრულების დაწესებულების 9 დირექტორის, დირექტორის 7 მოადგილისა და სხვა მაღალჩინოსნების მიმართ. გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 29 პირის მიმართ. სხვა ბრალდებულების მიმართ მიმდინარეობს სასამართლო განხილვა, – აცხადებენ მთავარ პროკურატურაში.

როგორც საგამოძიებო უწყებაში აცხადებენ: „სტატისტიკა ცხადყოფს, რა მასშტაბები ჰქონდა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნისას საკუთარი მოქალაქეების მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს.

დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობიდან, მასში ჩართული ადამიანების თანამდებობრივი მდგომარეობიდან და ამ ფაქტების გარშემო წარმოებული სამართლებრივი პროცესებიდან გამომდინარე, შეუძლებელია, გასული 9 წლის მანძილზე მომხდარი წამების შემთხვევები არ შეფასდეს, როგორც სისტემური დანაშაული, როგორც ხელისუფლების ნება – საკუთარ მოქალაქეებზე ძალადობისა და ანტიჰუმანური მართვის სტილი“, – აცხადებენ მთავარ პროკურატურაში. (პირველი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





ფლება არ დაიწყებს ნიღბების ჩამოხსნას და იქით არ გადავა შეტევაზე, ცუდად იქნება საქმე.

მაგალითად, მე ძალიან მომეწონა პროკურატურის განცხადება, რომლის მიხედვითაც, მეგის ქარდავას საქმეში ბრალი ედება ვანო მერაბიშვილსაც, მთელი სქემა ყოფილა ჩამოყალიბებული, როგორ აწამებდნენ ადამიანებს. იმ შენობაში იყვნენ თოფურიძე, მერაბიშვილი და ახალაია. ამ სქემას რომ ვუყურებ, მე ვეთანხმები, რადგან თავად ვიჯექი ციხეში და იმ პერიოდშივე მქონდა გაგონილი პატიმრებისგან. ეს ადამიანები ასეთ რაღაცებს აკეთებდნენ. ახლა გეტყვი ერთ მაგალითს: ამ დღეებში პრობლემა შეიქმნა წვენების იანებული იყო, კინაღამ ჩაქოლეს, საცემრად იწევდნენ. ფუტკარაძე ჯიპში რომ ჩაჯდა, მიაძახეს: აი, ეს ხართ თქვენ, თავი აგვარჩევინეთ და ახლა ჯიპებით დაბრძანდებით. მართალია, ეს ძვირადღირებული ჯიპი არ იყო, მაგრამ ხალხს უკვე ნებისმიერი ჯიპი აღიზიანებს. სხვათა შორის, ავთო ბერიძემ ამ მხრივაც გააფუჭა საქმე... ბერიძე, რომელიც არის აჭარის პირველი კანონმდებელი, უკვე იქცა კომიკურ ფიგურად, ყველა ღადაობს ამ კაცზე. როგორც კი დაინახავენ ხოლმე, შებრუნდებიან და იცინიან.

**— აბა, ახლა ღირს ამ თანამდებობაზე გაჩერება?**

– ნამდვილად არ ღირს, მაგრამ თვითონ არ წავა, არ დევდნენ ქოლგით და მთელი საბჭოთა კავშირი რომ დასცინოდა. ეს არის აჭარის დისკრედიტაცია, როდესაც ავთო ბერიძე გიზის პირველ პირად, ეს დიდი უბედურებაა. ამით სარგებლობენ „ნაციონალები" და იძახიან: აჰა, ესეც თქვენი ახალი ხელისუფლებაო. ბერიძის წინამორბედიც მაგარი კომიკური ფიგურა იყო, მაგრამ ამან მაინც გადააჭარბა.

**— მიხეილ მახარაძეს გულისხმობ?**

– კი, მაგ მიხეილ მახარაძეს არავინ არაფერს ეკითხებოდა, მაგრამ ჩუმად მაინც იყო. ამ მახარაძეს თურმე იმდენი საწვავი დაუხარჯავს ერთ წელიწადში, გამოთვალეს და თურმე დედამიწისთვის სამჯერ დაურტყამს „კრუგი".

**— სალოლ მახარაძე, ჯუმბერ**

საწვავი დახარჯა, დედამიწას სამჯერ შემოუვლიდა. აი, ამაზე არავინ არაფერს ამბობს... იცი, რატომ იმალება და იფარება ყველაფერი? ერთ მაგალითს გეტყვი: ბობოყვათში იყო ერთი გამგებელი, რომლის ხელშიც არაფერი გაკეთებულა. სოფელში არის კარგი ბიჭი, ეკლესიას აშენებს, მოძრავია, აქტიური და ხალხმა ეს წარადგინა. ამას უთხრეს, დაგნიშნავთ, მაგრამ წინა გამგებლის საქმეები უნდა გადაფაროო. წარმოგიდგენია? წინამ რაღაცები მიჰქარა და ამან უნდა გადაფაროს. ამ ბიჭმა უარი თქვა, მაგას არ ვიზამო. ახლა მოძებნიან ისეთ უზნეო ადამიანს, ვინც გადაფარავს და გასამრჯელოსაც მიიღებს. სამწუხაროდ, ეს არ არის ერთი მაგალ-

# რა თანხების გადახარჯვას არ იძიებს პროკურატურა?

**„ალიას" ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი, თამაზ ბაკურიძე ესაუბრება:**

**— კერძო საუბარში მითხარი, რომ ავთო ბერიძის თემა საახალწლოდ ძალიან აქტუალური იყო, რა ხდებოდა?**

– ავთო ბერიძის თემამ მაგრად დაარტყა დღევანდელ ხელისუფლებას... ჯიპის ფაქტმა საზოგადოებაში გააჩინა აზრი: ესე იგი, ესენიც ჯიპებზე მოსაჯდომად მოვიდნენ, ესენიც თავიანთ ჯიპეებზე ზრუნავენო. სხვათა შორის, ავთო ბერიძე გარემოების მსხვერპლი აღმოჩნდა, თორემ ეს საქმე ისე ჩაივლიდა, ვერავინ ვერაფერს გაიგებდა. ამ ადამიანმა კომფორტულ მანქანაში ჩაჯდომა იმ დროს მოინდომა, როდესაც აჭარაში მთლიანად იყო დენი გამორთული, რეგიონი იყინებოდა, გაზიც არ იყო. მე მახსენდება სააკაშვილის პერიოდი, როცა „ნაცბანდა" სასტუმრო „შერატონში" იკრიბებოდა... მაშინ ესენი ისეთი ჯიპებით ჩამოდიოდნენ, თვალებს არ დაუჯერებდი, ყველაზე დაბალფასიანი ღირდა 70 ათასი დოლარი. იმართებოდა სიმპოზიუმები, კონფერენციები და ეს იყო დროსტარების მიზეზი. ასეთ რაღაცებში იმდენი თანხებია ჩამოწერილი, ნამდვილად ღირს გამოძიების დაწყება. სამწუხაროდ, ეს დღეს ძალიან ბევრს დაავიწყდა, მაგრამ ნახეთ, რა მოხდა... როგორც კი ავთო ბერიძის ჯიპზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ეგრევე პირველი გამოვარდა „ნაციონალი" და ატეხა ყვირილი. კი, ბატონო, „ოცნებამ" აღიარა თავისი დანაშაული, გამოვიდა კალაძე და დაგმო, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ვინ დაიწერა ქულები? თუ ხელისუფლება არ იქნება ფრთხილად, ასეთი რაღაცები უფრო გახშირდება, „ნაციონალები" ემზადებიან სერიოზული იერიშისთვის. თუ ხელისუ-

ქარხანასთან დაკავშირებით აჭარაში, ეს ამბავი გახმაურდა და ტელევიზიითაც გადაიცა.

**— კი, რაღაც საპროტესტო აქციაც გაიმართა.**

– დიახ, სწორედ მაგაზე ვამბობ... სხვათა შორის, ეგ ქარხანა „ნაციონალებმა" ვიღაცას ჩამოართვეს, მერე უკრაინელზე გაყიდეს და დღეს ამ უკრაინელის ნებასურვილზეა დამოკიდებული, მიიღებს თუ არა მანდარინს. იქ აშკარად ჩანს, რომ იქმნება ხელოვნური ბარიერები. მე მთხოვა ხალხმა, რომ ქარხანაში მივსულიყავი და ასევე, მოვიდა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი, ზაურ ფუტკარაძე, რომელიც მოსახლეობაში ნამდვილად არ იწვევს სიმპათიებს. ეს ადამიანი რეალობას ვერ აღიქვამს. ხალხი იმდენად გაღიზ-



დაწერს განცხადებას... მე მახსენდება ბრეჟნევს რომ დას-

**ლეჟავს „გადაუჯოკრა"?**

– ესე იგი, კაცმა იმდენი

ითი. თუნდაც იმაზე ვთქვათ, რატომ მოინდომა „ნაციონალურმა მოძრაობამ", რომ მოწმის დაკითხვა სასამართლოში გადაიტანოს? შეიძლება მე ამ ხელისუფლებას ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდე, მაგრამ ვფიქრობ, თუ ეს საკითხი არ გადავადდება, სამართლიანობის აღდგენა აღარ გამოვა. დღეს სასამართლო და ადგილობრივი თვითმმართველობები არის „ნაცების" ხელში. სანამ ეს ასე იქნება, ამ ქვეყანას წინსვლა არ უწერია. გამოვიდეს და ამიხსნას ვინმემ, რომელ დამოუკიდებელ სასამართლოზეა ლაპარაკი? მომავალ წელს კუბლაშვილს ვადა ეწურება და ამის შემდეგ შეიძლება ცვლილებებზე ლაპარაკი.

»» გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დააშავეს და უნდა დაისაჯონ



ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძე მეგის ქარდავასა და გაგა მკურნალიძის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ფაქტს გამოეხმაურა.

„ჩვენს კომიტეტს ამ თემასთან დაკავშირებით მომზადებული და გამოქვეყნებული აქვს დასკვნა. თავის დროზე კომიტეტმა შეაფასა ეს ფაქტები, როგორც სისტემური ხასიათის დანაშაული და მიგვაჩნია, რომ პრაქტიკულად, საქმე გვაქვს იმასთან, რომ სახელმწიფომ მთლიანად წამებაზე და დაშინებაზე დააფუძნა თავისი პოლიტიკა, შექმნა სისტემა, რომელზეც იდგა ეს ხელისუფლება. სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ადეიშვილის რეჟიმი მთლიანად იყო დაფუძნებული შიშზე და ადამიანების წამებაზე. წამების ნებისმიერ ფაქტთან მიმართებაში სახელმწიფო უნდა იყოს ძალიან მკაცრი, თანმიმდევრული და შეურიგებელი", – აცხადებს ფოფხაძე.

ცნობისთვის, პატიმრის წამების ფაქტზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილე გაგა მკურნალიძე, შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე მეგის ქარდავა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-8 დაწესებულების ყოფილი უფროსი ალექსანდრე მუხაძე სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცნენ.

პროკურატურის ცნობით, საქმე ეხება 2011 წლის აპრილში მომხდარ პატიმრების წამების ფაქტს, როდესაც ერთ-ერთი დაკავებულისგან ტერორისტული აქტის მომზადების აღიარებას მოითხოვდნენ.

გამოძიების ინფორმაციით, წამების შედეგად ჯანმრთელობის გაუარესებული მდგომარეობის გამო ერთ-ერთი პატიმარი ელდარ ქობალია გარდაიცვალა.

გაგა მკურნალიძე ამჟამად პატიმრობაში იმყოფება, ხოლო მეგის ქარდავა და ალექსანდრე მუხაძე მიმალვაში არიან. (პირველი)

## პროკურორი და ადვოკატი ერთმანეთს ფიზიკურად გაუსწორდნენ



ამასთან დაკავშირებით მთავარი პროკურატურა განცხადებას ავრცელებს: „8 იანვარს, დაახლოებით 15 საათსა და 30 წუთზე საქართველოს მთავარი პროკურატურის თბილისის პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობაში პროკურორ ლევან ბაჩიაშვილსა და საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრ ადვოკატ რომეო საჯაიას შორის ადრე არსებული პირადი უთანხმოების საფუძველზე მოხდა ურთიერთშელაპარაკება, რა დროსაც მათ ერთმანეთს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა.

აღნიშნულ ფაქტზე საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით", – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## სიმსუქნე ინფექციასავით ვრცელდება



სტატისტიკას თუ მოვიშველიებთ, ზედმეტი წონისგან შეწუხებული ადამიანების რიცხვი, კლების ნაცვლად, კატასტროფული ტემპებით მატულობს და როგორც აღმოჩნდა, მოვლენების ასეთი არასასურველი სცენარით განვითარება გამოწვეულია არა მხოლოდ კალორიული საკვების მიღებით, არამედ იმითიც, რომ სიმსუქნე... გადამდები ყოფილა.

– გასუქების საფრთხის წინაშე დგას პლანეტის მთელი მოსახლეობა გამონაკლისების გარეშე, – ამტკიცებენ ამერიკელი მეცნიერები, რომლებმაც ასეთი დასკვნა 5 ათას მოზარდზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად მიიღეს.



როგორც აღმოჩნდა, სიმსუქნე, როგორც, მაგალითად, ნებისმიერი სახის ინფექცია, ერთი ადამიანიდან მეორეზე უპრობლემოდ გადადის. ამისთვის საჭიროა მხოლოდ ზედმეტწონიანებისა და გამხდრების უშუალო კონტაქტი.

ამ აღმოჩენას ამერიკელებმა „იმიტაციური გასუქება“ და „მეგობრული სიმსუქნე“ დაარქვეს, რომლის მთავარი არსი მიმბაძველობაში მდგომარეობს. თუმცა სპეციალისტები იმასაც ამბობენ, რომ „იმიტაციურ გასუქებასთან“ ბრძოლა გაცილებით ადვილია, რადგან, თუკი ადამიანს სიმსუქნისადმი მიდრეკილება შთამომავლობით არ მოსდევს, მისი დამარცხება ბრძოლის შედარებით იოლი ფორმების გამოყენებითაც შეიძლება.

***myjane.ru***

## უსიამოვნო ადამიანებთან ურთიერთობა აზროვნებას აფერხებს



მეცნიერებმა ძალიან საინტერესო მიზეზი დაასახელეს, რომლის გამოც, ხელმძღვანელობამ აუცილებლად უნდა გადახედოს ხოლმე კოლექტივში არსებულ მდგომარეობას და შეძლებისდაგვარად, მინიმუმ მის გადახალისებაზე წავიდეს. საქმე ისაა, რომ ადამიანების გვერდიგვერდ ყოფნა, რომლებსაც ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობა აქვთ, მუშაობაზე უარყოფითად მოქმედებს.

სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ უსიამოვნო და მიუღებელ ადამიანთან კონტაქტი არა მხოლოდ გაღიზიანებას იწვევს. გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ ამ დროს სერიოზულად ზიანდება თავის ტვინი და მისი მუშაობის პროცესი შეფერხებებს განიცდის.

სპეციალისტების განმარტებით, ტვინის სფეროში, რომელიც მოტორიკაზეა პასუხისმგებელი, დამუხრუჭების პროცესები აქტიურდება. შედეგად, ადამიანი, უბრალოდ, „ლენჩდება“. რასაკვირველია, ამ მოვლენის ერთ-ერთი ლოგიკური გაგრძელება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უამრავი შეცდომის დაშვებაა.

ჰო, კიდევ ერთი – ხელმძღვანელებს სპეციალისტები თანამშრომლებზე ყვირილისგან თავის შეკავებასაც ურჩევენ, რადგან, რაც უფრო ძლიერი იქნება წნეხი, მით მეტად შეჯავრდება შეფი ხელქვეითს და მშვიდობით, წარმატებებო...

***argumenti.ru***

## კატებს ჰკოცნით? კბილები დაგცვივდებათ!



შინაურ ცხოველებთან ახლო ფიზიკური კონტაქტი რომ საზიანოა ჯანმრთელობისთვის, არახალი ამბავია, თუმცა ამ შემთხვევაში ინფექციებით და მსგავსი დაავადებებით გულს არ გაგიხეთქავთ და შედარებით მსუბუქ უსიამოვნებაზე გაგაფრთხილებთ.

სტომატოლოგების რჩევაა, ვინც შინაურ ცხოველებს უვლის, გაცილებით თავშეკავებით მოეფერონ ოთხფეხა მეგობრებს. მიზეზი ის გახლავთ, რომ კატის ან ძაღლის კოცნამ ადამიანი შესაძლოა, კბილების დაცვენით „დააჯილდოვოს“.

ბაქტერიები, რომლებიც ღრძილების ანთებას იწვევს, თითქმის ყველა შინაური ცხოველის ნერწყვში იმალება. როცა პატრონი მათ ჰკოცნის, დასნებოვნების ალბათობა თითქმის 100 პროცენტით მატულობს.

საინტერესოა, რომ აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია თითქმის ერთდროულად გაავრცელეს ამერიკელმა და იაპონელმა სპეციალისტებმა.

და კიდევ ერთი, კვლევის ავტორებმა დაადგინეს, რომ ღრძილების ანთების გამომწვევი ბაქტერიები „ორივე მხარეს“ გადაიცემა – როგორც ცხოველიდან ადამიანზე, ისე ადამიანიდან ცხოველზე.

***myjane.ru***

## სამუდამო პატიმრობა... საგზაო წესების დარღვევისთვის მიუსაჯეს



ამერიკული ტეხასის მკვიდრი მსოფლიოში პირველი მძღოლი გახდა, რომელსაც სასამართლომ ავტომობილის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

ცნობილია, რომ 52 წლის ბობი სტოველი პოლიციამ საჭესთან ნასვამ მდგომარეობაში უკვე მეცხრედ აღმოაჩინა, მაგრამ სამუდამო პატიმრობა ვფიქრობთ, მაინც ძალიან მკაცრი გადაწყვეტილებაა.

ბრალდების მხარეს სამუდამო პატიმრობა იმიტომ მოუთხოვია, რომ შიშობდა, ბობი სტოველი სმას თავს არ დაანებებს და საბოლოო ჯამში, მისი უპასუხისმგებლობა მსხვერპლით დასრულდებაო.

– არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მან ცხოვრების წესი მაინც არ შეიცვალა, რითიც საფრთხეს უქმნიდა არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ სრულიად უდანაშაულო ხალხს. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ბრალდებული სამუდამო პატიმრობას იმსახურებს, – ასეთი კატეგორიული აღმოჩნდა საოლქო პროკურორის სიტყვა, – აუცილებელია მისი საზოგადოებისგან იზოლირება!..

ალკოჰოლის მოყვარული ამერიკელის საუბედუროდ, მოსამართლემ ბრალდების მხარის მოთხოვნა დააკმაყოფილა და სტოველს მართლაც სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა, რომელსაც, ალბათ, ადვოკატი აუცილებლად გაასაჩივრებს.

***top.rbc.ru***

## საუკეთესო წამალი ადამიანის... ნერწყვი



მეცნიერებმა ზუსტად დაადგინეს – ჭრილობების შეხორცების საუკეთესო საშუალება ადამიანის ნერწყვია! რატომ?

სპეციალისტების განმარტებით, განსაკუთრებულ თვისებებს ნერწყვს მისავე შემადგენლობაში შემავალი ცილა, სახელწოდებით გისტატინი ანიჭებს.

ამ აღმოჩენის ავტორები ჰოლანდიელი მედიკოსები არიან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ადამიანის ორგანიზმს რიგი მიზეზების შედეგად დარღვეული უჯრედების აღდგენაში სწორედ გისტატინი ეხმარება.

ადამიანის სხეულის დაზიანებული უჯრედები ბიოლოგებმა ორ კოლბაში ჩააწყვეს, რომელთაგან ერთ-ერთი ნერწყვით იყო სავსე, მეორე კი სითხით, რომელიც თავისი შემადგენლობით ზღვის წყალს წააგავდა.

16 საათის გასვლის შემდეგ, როცა სპეციალისტებმა კოლბებიდან დაზიანებული უჯრედები ამოიღეს, აღმოაჩინეს, რომ ნერწყვს ჭრილობა თითქმის შეუხორცებია, მეორე სითხეს კი შედეგი საერთოდ არ მოუტანია.

– ვფიქრობთ, ჩვენი აღმოჩენით დავეხმარებით იმ ადამიანებს, რომლებიც მოურჩენელი დიაბეტური ან სხვა ჭრილობებით იტანჯებიან, – იმედოვნებენ ჰოლანდიელი მედიკოსები, თუმცა ზუსტად როგორ გამოყენებას მისცემენ ადამიანის ნერწყვს, ჯერჯერობით არ აზუსტებენ.

***medportal.ru***

## მეცნიერებმა პირველი სექსი კარიერულ წინსვლას დაუკავშირეს



ჩვეულებრივ, პირველი სექსი ისეთია, რომ ის ადამიანს არასოდეს ავიწყდება ხოლმე – ან ძალიან მაგარია, ან ძალიან ცუდი! რაც შეეხება იმას, რომ პირველი სექსი კარიერულ აღმასვლას უკავშირდება, გამორიცხულია, ვინმეს ამაზე წარმოდგენა ჰქონოდა. ყოველ შემთხვევაში, იქამდე, სანამ ამას ტეხასის უნივერსიტეტის ფსიქოლოგები არ იტყოდნენ.

სპეციალისტებმა 1659 ერთსქესიანი ტყუპების ანალიზი ჩაატარეს. კერძოდ, შეისწავლეს მათი მიღწევები ზრდასრულ ასაკში და ასაკი, როცა ისინი პირველად დაწვნენ საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან. სპეციალისტებმა მოხალისეები სამ ჯგუფად გაყვეს: ვისაც სექსი 15 წლამდე ჰქონდა, 15-დან 19 წლამდე და 19 წლის შემდგომ.

შედეგად დადგინდა, რომ გაცილებით ხშირ შემთხვევაში, კარიერული წინსვლა ჰქონდა იმ კატეგორიას, რომელიც ინტიმთან გვიან დამეგობრდა. გარდა ამისა, სწორედ მათ ჰქონდათ საუკეთესო მაჩვენებლები ოჯახურ ურთიერთობებშიც.

რას უკავშირდება ეს ყველაფერი? ფსიქოლოგების აზრით, გვიანდელი ინტიმი იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანი ცხოვრებაში ერკვევა. ამდენად, ეს ფაქტორი მისი ცხოვრების ყველა სფეროზე ახდენს ძალიან დიდ გავლენას.

***myjane.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

# ქალების ცხოვრებისთვის 10 ყველაზე ცუდი ქვეყანა



– ავღანეთი: საშუალოდ, ავღანელი ქალი 45 წლამდე ცხოვრობს. ეს 1 წლით ნაკლებია, ვიდრე ავღანელი მამაკაცის მაჩვენებელი. ათეულობით წლის მანძილზე გაწელილი ომებისა და რელიგიური კონფლიქტების ფონზე იქაური ქალების აბსოლუტური უმრავლესობა გაუნათლებელია. ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება გოგონების გათხოვება, რომლებსაც ჯერ 16 წელიც არ შესრულებიათ. სტატისტიკის თანახმად, ავღანეთში ყოველ ნახევარ საათში ერთხელ ერთი მშობიარე ქალი იღუპება.

ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ავღანელი ქალების 87 პროცენტია. მეორე მხრივ, ქვეყანაში მილიონზე მეტი ქვრივი ცხოვრობს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, ფულს პროსტიტუციით შოულობენ. ავღანეთი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ქალების თვითმკვლელობის მაჩვენებელი მამაკაცებისაზე მაღალია.

– კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა: ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მიმდინარე კონფლიქტს უკვე შეეწირა 3 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე და ამ ომში ქალები ფრონტის ხაზზე არიან. გაუპატიურების ფაქტები იმდენად ხშირი და სასტიკია, რომ გაეროს წარმომადგენლები მათ უპრეცედენტოს უწოდებენ. ბევრი მსხვერპლი კვდება, სხვები შიდსით ავადდებიან. ძალადობის მსხვერპლნი იქაური ქალები საკვებისა და წყლის მოპოვების გამოც ხდებიან. მათ არ აქვთ არც ფული, არც ტრანსპორტი, არც კავშირი და თავის გადარჩენას, ფაქტობრივად, ვერ ახერხებენ.

– ერაყი: ამერიკის შეჭრამ ქვეყნის სადამ ჰუსეინისგან „გადარჩენის“ მიზნით, ადგილობრივ ქალებს ნამდვილი სექტანტური ჯოჯოხეთი მოუწყო. განათლების დონე, რომელიც არაბულ სახელმწიფოებში ოდესღაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო, ახლა უკვე თითქმის ყველაზე დაბალია, რადგან მოტაცებისა და გაუპატიურების შიშით ოჯახები გოგონების სკოლებში გაშვებაზე უარს ამბობენ. ქალები, რომლებიც ადრე მუშაობდნენ, სახლებში სხედან.

– ნეპალი: ადრეული ქორწინება და მშობიარობა ძალიან ცუდად აისახება ნეპალელ ქალებზე, რომლებიც ნორმალურად გამოკვებას ვერ ახერხებენ. 24-დან 1 ფეხმძიმობის ან მშობიარობის დროს იღუპება. ხშირია შემთხვევები, როცა ოჯახები საკუთარ არასრულწლოვან გოგონებს ყიდიან. თუკი ქვრივმა მეტსახელად „ბოკში“ მიიღო, რაც „ალქაჯს“ ნიშნავს, საშინელი მოპყრობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი ხდება. ხშირად, იქაური ქალები პარტიზანულ დაჯგუფებებში ეწერებიან.

– სუდანი: მიუხედავად იმისა, რომ სუდანელმა ქალებმა რეფორმისტული კანონებით გარკვეული შეღავათები მიიღეს, დარფურელების (დასავლეთ სუდანი) მდგომარეობა მხოლოდ გაუარესდა. გატაცება, გაუპატიურება და ძალადობრივი გასახლება, რომელიც 2003 წლიდან დაიწყო, მილიონზე მეტი ქალის სიცოცხლის დანგრევის მიზეზი გახდა. ჯანჯავიდები (სუდანელი ბოევიკები) როგორც დემოგრაფიულ იარაღს, რეგულარულად მიმართავენ გაუპატიურებებს და არც ერთ მსხვერპლს არ აქვს საშუალება, სამართალი იპოვოს.

– გვატემალა: საზოგადოების ქვედა და ღატაკი ფენების წარმომადგენელი ქალები ოჯახური ძალადობისგან და გაუპატიურებისგან იტანჯებიან. აფრიკის ქვეყნებს შორის მათი შიდსით დაავადების მაჩვენებელი მეორე ადგილზეა. ქვეყანაში საშინელი, გაუხსნელი მკვლელობების ეპიდემია მძვინვარებს, რომელთაც ასობით ქალის სიცოცხლე წირება.

– მალის რესპუბლიკა: მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყანაში ძალიან ცოტა ქალი თუ ახერხებს, რომ სასქესო ორგანოების მოკვეთის მტანჯველ პროცედურებს გადაურჩეს. უმრავლესობას არასრულწლოვან ასაკში ათხოვებენ, რის გამოც 10-დან 1 გოგონა ფეხმძიმობას ან მშობიარობას ეწირება.

– პაკისტანის მოსაზღვრე ტომობრივ რაიონებში ქალები ჯგუფური გაუპატიურების მსხვერპლნი ხდებიან, რისი მიზეზიც მათი მამაკაცების მიერ ჩადენილი დანაშაულებია. მაგრამ უფრო გავრცელებულია ქალების მკვლელობები იმის გამო, რომ ისინი „ბედავენ“ და ან პოლიტიკაში მიდიან ან უფლებათა დამცველ ორგანიზაციებში.

– ნავთობით მდიდარ საუდის არაბეთში ქალებს ისე ექცევიან, როგორც სამუდამოდ სხვის კმაყოფაზე მყოფ ადამიანს. იქაურ ქალებს არ აქვთ ავტომობილის მართვის და მამაკაცებთან საჯაროდ ურთიერთობის უფლება. შედეგად ხდება ისე, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყანაში ქალები ყოველმხრივ შეზღუდულები არიან და უმნიშვნელო შეცდომის გამოც კი ხშირად უსასტიკესი მეთოდებით ისჯებიან.

– სომალი: საშინელმა სამოქალაქო ომმა ადგილობრივი ქალები სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა. ისინი ყოველდღიურად ხდებიან გაუპატიურების მსხვერპლნი. არ უვლიან ფეხმძიმობის პერიოდში. ქუჩაში ხშირია თავდასხმები შეიარაღებული ბოროტმოქმედების მხრიდან...

*diggreader.ru*



კარგი გოგო ქალწულობას ქორწინების პირველ ღამეს ემშვიდობება, ცუდი გოგო — პირველივე ხელსაყრელ დროს, ხოლო ჭკვიანი – 3-4-ჯერ!..

*****



აქსიომა: „ნებისმიერი ყველაზე თანამედროვე და მაგარი ტრენაჟორი სახლის პირობებში მაინც „ვეშოლკად“ იქცევა“.

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***



**სკანვორდი**

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მეზობლების დაბეზღებისთვის, ინგლისში პრემიებს ოფიციალურად გასცემენ



ლონდონის ჩრდილოთით ერთ-ერთი მუნიციპალური დაწესებულება ადამიანებს, რომლებსაც მეზობლების „ჩაშვების“ სურვილი გაუჩნდებათ, საკმაოდ სოლიდურ ანაზღაურებას სთავაზობს. კერძოდ, თანხის მოცულობა ინფორმაციის ხარისხის მიხედვით დაიანგარიშება და მინიმალური 50-დან მაქსიმალურ 500 ფუნტ სტერლინგამდე მერყეობს.

მაგალითად, შეიძლება მეზობლის იმის გამო დაბეზღება, რომ მისი ძაღლი ქალაქის ქუჩებში ისაქმებს, ან ვინმე მუსიკის ხმამაღალი მოსმენის მოყვარულია და ასე შემდეგ.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით დიდი ოდენობით პრემიას აძლევენ ბავშვებს, რომლებიც, ფაქტობრივად, უკვე ნადირობენ, ოღონდ ნებისმიერი მეზობელი რაიმე ელემენტარულ დარღვევაზე გამოიჭირონ.

იმედია, ასეთი რამ ჩვენთანაც არ მოხდება, თუმცა რა ვიცით, იქნებ, უარესებიც მოხდეს... ჯერ სადა ხართ?!.

*drunov.ru*

## შეიცვლება თუ არა ადამიანის გარეგნობა მომავალში?



ბრიტანელმა მეცნიერებმა იფიქრეს – როგორმე წარღვნას თუ გადავურჩით, როგორმე თოვლმა თუ არ გაგვყინა, ნეტავ, როგორი იქნება ადამიანი 1000 წლის შემდეგო?..

ისე, სწავლულების ძალიან დიდი ნაწილი საუბრობს იმის შესახებ, რამდენად შეიცვლება ადამიანის გარეგნობა და ამ თემაზე ადრეც მოგვიყოლია ხოლმე. ამჯერად ნისლიან ალბიონზე მიღებულ დასკვნებს გაგაცნობთ და ვნახოთ, როგორ მომავალს უქადიან ინგლისელები ჩვენს შთამომავლებს.

პირველ რიგში, ის უნდა ვთქვათ, რომ მათი გათვლებით, მომავლის ადამიანები თანამედროვეებისგან ძირფესვიანად განსხვავებულები იქნებიან.

ასე მაგალითად: დაახლოებით 1000 წლის შემდეგ, ადამიანის სიმაღლე მინიმუმ 1,83-2,13 მეტრი იქნება. პირისა და თავის ზომები მნიშვნელოვნად შემცირდება, ვინაიდან მომავლის ადამიანი რაციონს შეიცვლის და გაცილებით ნაკლებ საკვებს მიიღებს. გარდა ამისა, ნაკლები იქნება საფიქრალით, რადგან აზროვნების თითქმის 100 პროცენტი კომპიუტერებისა და ზოგადად, ტექნიკის პრეროგატივა გახდება. გარდა ამისა, დედამიწის მომავალ ბინადრებს შეუმცირდებათ კბილების რაოდენობაც. მიზეზი – კვლავაც კვების ცვლილებები, თანაც, გლობალური. რაც შეეხება კიდურებს, განსაკუთრებით, ხელებს, როგორც ბრიტანელი მეცნიერები ამტკიცებენ, თითები ადამიანებს სერიოზულად დაუგრძელდებათ. ეს ალბათ, იმიტომ, რომ, თუ აღარ იფიქრებენ და შეჭამენ, ზურგი ხომ მაინც „ტრადიციულად“ მოეფხანებათ, არა?

დაბოლოს: მომავლის ადამიანს აღარ შეაწუხებს ჭარბი წონა – ნაწლავების სიგრძე რამდენჯერმე შემცირდება, რის ხარჯზეც, ის გაცილებით ნაკლებ შაქარსა და ცხიმს შეიწოვს.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*tainamira.ru*

გაზეთები ალია და ქრონიკა
სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს
ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**9 იანვარი:** უკვე საკმაოზე მეტი ილაპარაკეთ, დროა საქმეზე გადახვიდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოლაყბედ ჩაგთვლიან.

**კურო 22.04-21.05**
**9 იანვარი:** დღეს ჩვეულ მორიდებას დაივიწყებთ და გაგიკვირდებათ, როდესაც უცნობ ადამიანს ძველი ნაცნობივით გამოელაპარაკებით. შესაძლოა, ახალი მეგობრები შეიძინოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**9 იანვარი:** შეიძლება იმაზე მეტად ხართ სხვებზე დამოკიდებული, ვიდრე გგონიათ. ამ უსიამოვნო ფაქტის აღიარება და სათანადო დასკვნების გამოტანა მოგიწევთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**9 იანვარი:** დღეს რჩევების მოცემით თავს მოგაბეზრებენ და ამას გააკეთებს ყველა, ვისაც კი არ დაეზარება. რა ფასი ექნება ასეთ რჩევებს, თავადაც ხვდებით.

**ლომი 23.07-22.08**
**9 იანვარი:** დღეს შეიძლება გაღიზიანებული და თავშეუკავებელი იყოთ, რაც გარშემომყოფებზე უარყოფითად აისახება. უმჯობესია, თქვენი მდგომარეობის შესახებ ისინი დილიდანვე გააფრთხილოთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**9 იანვარი:** კარგი დღეა იმ ახალი პროექტის წამოსაწყებად, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებთ. დიდი ალბათობაა, რომ იმედები გაგიმართლდეთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**9 იანვარი:** თქვენი ამა თუ იმ მოქმედების მიზეზების აფიშირებას ნუ დაიწყებთ. შეიძლება ვიღაცას ეს ძალიან არ მოეწონოს.

**მორიელი 23.10-21.11**
**9 იანვარი:** შეგიძლიათ, წამოიწყოთ პროექტი, რომელიც დიდი ხნის წინ დააკონსერვეთ. ყველაფერში საკმაოდ ზომიერი იქნებით, ამიტომ ყველაფერი, რასაც გააკეთებთ, საუკეთესოდ გამოგივათ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**9 იანვარი:** დღეს უნებლიეთ წამოსროლილ სიტყვას დროულად დაიჭერთ, ან რაღაც შეცდომებს გამოასწორებთ. მოკლედ, გარშემომყოფებთან ურთიერთობას გაიუმჯობესებთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**9 იანვარი:** შეეცადეთ, დღეს აუჩქარებლად იმოქმედოთ და ყურადღებით იყოთ. შეიძლება თქვენს გზაზე საიმედო საყრდენს წააწყდეთ, მხედველობიდან არ გამოგრჩეთ

**მერწყული 20.01-18.02**
**9 იანვარი:** პრობლემებისადმი თქვენი არაორდინალური მიდგომა ბევრს გააოცებს. ერთადერთ შეზღუდვად შეიძლება თქვენი ენერგია იქცეს, რომელიც საკმარისად არ გექნებათ.

**თევზები 19.02-20.03**
**9 იანვარი:** ჩვეულებრივზე ბევრად სუსტად იქნებით, როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ფიზიკურად. შეეცადეთ, არ გაცივდეთ და ხმაურიან გარჩევებს მოერიდეთ.

## თანამედროვე ხორბალი — იდეალური ქრონიკული შხამი



– სრულყოფილი ქრონიკული შხამი – სწორედ ასე ახასიათებს ჩვენს დროში მოწეულ ხორბალს ამერიკელი მეცნიერი, კარდიოლოგი უილიამ დევისი, რომელმაც მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ხორბლის სახეობების შესახებ ცოტა ხნის წინ წიგნი გამოუშვა.

დევისის მტკიცებით, ხორბალი, რომელსაც თანამედროვე ადამიანების უდიდესი ნაწილი მიირთმევს, რადიკალურად განსხვავდება იმ ხორბლისგან, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში ხარობდა. დღეისთვის არსებული პროდუქტი, მისი განმარტებით, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში გენეტიკური კვლევების საფუძველზეა მიღებული.

ამერიკელი მეცნიერი ამბობს, რომ თანამედროვე ხორბალს ძალიან ბევრი თავისებურება აქვს, რის შესახებაც ხმამაღლა არავინ არაფერს ამბობს.

– მაგალითად, ის შეიცავს ახალ ცილას, რომელსაც გლიადინი ეწოდება და რომელიც ოპიატებს განეკუთვნება. მისი ყველაზე უმნიშვნელო გავლენა იმით გამოიხატება, რომ ხდება თავის ტვინის იმ რეცეპტორების სტიმულირება, რომლებიც შიმშილის გრძნობაზე აგებენ პასუხს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ყოველდღიურად იმაზე გაცილებით მეტ კალორიას იღებს, ვიდრე სინამდვილეში სჭირდება, – განმარტავს უილიამ დევისი.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ოპიატი, რომელსაც, დევისის ინფორმაციით, თანამედროვე ხორბალში შემავალი ცილა გლიადინი განეკუთვნება, ოპიუმის ნარკოტიკული ალკალოიდია. როგორც „ვიკიპედიაში“ ამოვიკითხეთ, ოპიატებს ასევე განეკუთვნებიან ბუნებრივი ალკალოიდები: მორფინი, კოდეინი, ტებაინი, ნარკოტინი და ნახევრად სინთეტიკური ჰეროინი, დიჰიდროკოდეინი, დეზომორფინი.

ახლა წარმოიდგინეთ, ამ ნივთიერებების „მონათესავე“ ცილა მართლაც რამხელა საშიშროებას შეუქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

კითხვაზე, შეუძლია თუ არა სოფლის მეურნეობას წარსულში არსებული ხორბლის წარმოება აღადგინოს, დევისი პასუხობს, რომ შეუძლია, „თუმცა ეს ეკონომიკური თვალსაზრისით „ხორბლის მაფიისთვის“ წამგებიანი იქნება...“

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*cbsnews.com*



მამაკაცი მაღაზიაში:

– ამიწონეთ, გეთაყვა, 329 გრამი ძეხვი, 246 გრამი ყველი და 391 გრამი შაქარი...

გამყიდველმა მიაწოდა: ძეხვი, ყველი, შაქარი და პრეზერვატივები:

– აი, ბატონო, ეს პრეზერვატივი ჩვენგან საჩუქრად!

– კი, მაგრამ რისთვის?

– იმისთვის, რათა თქვენისთანები არ გამრავლდნენ!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

„ალია-ჰოლდინგი“
ალია
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე
რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212033 პირადი (112)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ბადრი ძეგანიშვილი
რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.50
ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ( )-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.






**ირმა ჯოხაძეს**

ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბევრ სიხარულს და ღვთის წყალობას საყვარელ ადამიანებთან ერთად.

*„ალია ჰოლდინგი“*



შობისა და ახალი წლის მობრძანებას ვულოცავთ საგვარეულო კავშირი „წაქაძეების“ დამფუძნებლის, ბეჟან წაქაძის ოჯახს.

სადღესასწაულო განწყობას კიდევ უფრო ამაღლებს შვილიშვილის შეძენა, მარიამის დაბადებას ვულოცავთ მშობლებს, ბიძინასა და ქეთევანს, ვუსურვებთ, გაეზარდოთ ქვეყნისა და ოჯახის საამაყო შვილი, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი.






უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის შემწე და მფარველი.

*ელგუჯა წაქაძის ოჯახი*


## ამინდი

თბილისი

19 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| დღე | | +9 |
| ღამე | | +2 |

### რეგიონები

19 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +19 | ღამე | +12 |
| ქუთაისი | +17 | ღამე | +11 |
| თელავი | +9 | ღამე | +2 |
| ფოთი | +20 | ღამე | +14 |
| გორი | +11 | ღამე | +1 |
| ზუგდიდი | +19 | ღამე | +13 |


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას



გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას



გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას


*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ამინდი

თბილისი

22 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| დღე | | +12 |
| ღამე | | +1 |

23 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| დღე | | +14 |
| ღამე | | +2 |

24 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| დღე | | +15 |
| ღამე | | +2 |

### რეგიონები

22 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +18 | ღამე | +12 |
| ქუთაისი | +20 | ღამე | +10 |
| თელავი | +12 | ღამე | -1 |
| ფოთი | +20 | ღამე | +13 |
| გორი | +14 | ღამე | +1 |
| ზუგდიდი | +20 | ღამე | +9 |

23 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +17 | ღამე | +11 |
| ქუთაისი | +20 | ღამე | +11 |
| თელავი | +13 | ღამე | -1 |
| ფოთი | +18 | ღამე | +12 |
| გორი | +15 | ღამე | -1 |
| ზუგდიდი | +19 | ღამე | +10 |

24 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +20 | ღამე | +8 |
| ქუთაისი | +23 | ღამე | +11 |
| თელავი | +14 | ღამე | +2 |
| ფოთი | +20 | ღამე | +13 |
| გორი | +16 | ღამე | +1 |
| ზუგდიდი | +21 | ღამე | +11 |

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ამინდი

თბილისი

15 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| დღე | | +17 |
| ღამე | | +4 |

16 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| დღე | | +13 |
| ღამე | | +4 |

17 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| დღე | | +14 |
| ღამე | | +1 |

### რეგიონები

15 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +17 | ღამე | +8 |
| ქუთაისი | +15 | ღამე | +7 |
| თელავი | +17 | ღამე | +4 |
| ფოთი | +16 | ღამე | +10 |
| გორი | +14 | ღამე | +2 |
| ზუგდიდი | +15 | ღამე | +7 |

16 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +17 | ღამე | +6 |
| ქუთაისი | +18 | ღამე | +7 |
| თელავი | +13 | ღამე | +3 |
| ფოთი | +18 | ღამე | +9 |
| გორი | +15 | ღამე | +5 |
| ზუგდიდი | +17 | ღამე | +7 |

17 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +17 | ღამე | +6 |
| ქუთაისი | +18 | ღამე | +3 |
| თელავი | +12 | ღამე | +1 |
| ფოთი | +17 | ღამე | +8 |
| გორი | +15 | ღამე | +5 |
| ზუგდიდი | +16 | ღამე | +7 |

**ნეკროლოგები,**
**განცხადებები,**
**მილოცვები**

მიიღება ყოველდღე,
კვირის გარდა
12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101).



# ვაკანსია

„ალია ჰოლდინგი“ მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტე-ბისთვის აცხადებს კონკურსს „ალიასა“ და „კვირის ქრონიკის“ საინ-ფორმაციო განყოფილების რედაქტორის თანამდებობაზე.

**ხელფასი 800 ლარიდან.**

ასევე სამუშაოდ იწვევს კრიმინალის, საზოგადოების, ეკონომიკის და სოციალურ საკითხებზე მომუშავე გამოცდილ ჟუ-რნალისტებს. **ხელფასი 600 ლარიდან.**

ტელეფონი:
577 74 99 89 თამაზ ბესტავაშვილი (15 საათის შემდეგ)
221 21 80 (106) მანანა გიორგაძე

საპროტესტო აქციის მონაწილეები მაზოხისტები იყვნენ, დამრბევი პოლიციელები – სადისტები. ყველამ უდიდესი სიამოვნება მიიღო...



მოამზადა მიხეილ სახვაძემ დავით ახობაძის ნახატი

მე-14 გვერდის სკანვორდის პასუხები

1. ჯავახიშვილი; 2. მაჭავარიანი; 3. სირაჯი; 4. კუპრი; 5. ბილიკი; 6. ხზო; 7. ბუ; 8. ბუმბერაზი; 9. მამაცი; 10. აფსუს; 11. მორისეტი; 12. ლამაზისეული; 13. რა; 14. სასადილო; 15. ლომონოსოვი; 16. სარდალი; 17. ანანური; 18. ვირთაგვა; 19. „გალათასარაი“; 20. ლიმა; 21. ჯარისკაცის; 22. „სანტე“; 23. კირილ; 24. ლინო; 25. სირენა; 26. დონი; 27. პირამიდა; 28. მარტინა; 29. ბაგრატიონი; 30. ტოგა; 31. გოია; 32. შარა; 33. ტენერიფე; 34. სმირნიტსკი; 35. იმა; 36. ცენტნერი; 37. ოსტატი; 38. არწივი; 39. წინანდალი; 40. მინელი; 41. ანცი; 42. ციალი; 43. მინინი; 44. არა; 45. ეტნა; 46. გონიო; 47. აყალმაყალი; 48. უდაბნო; 49. სინდიყი; 50. დონიცეტი; 51. „ქაჯანა“; 52. ანძა; 53. ფიჭა; 54. ფიონა; 55. ესტაფეტა; 56. საფანტი; 57. ქრონომეტრი; 58. ამირანი; 59. ლიდერი; 60. ბალონი; 61. ლომვეშაპი; 62. აბელ; 63. რონა; 64. დალმატინელი; 65. ბია; 66. კორსიკა; 67. დრონი; 68. ძაფი; 69. ფრესკა; 70. „ნირვანა“; 71. ოყა; 72. „ავატარი“; 73. ანდანტე; 74. ნეფერტიტი; 75. ჰორნი; 76. ტიარა; 77. ბარბექიუ; 78. მელომანი; 79. კაფია; 80. სამოა; 81. პომადა; 82. კონ; 83. ვუ; 84. ლვოვი; 85. ტორტი; 86. ნერპა; 87. კვებეკი; 88. ტერ; 89. ნისლი; 90. ზარბაზანი; 91. ლიტრი; 92. მაკარ; 93. რამაზანი; 94. მონტე; 95. ანტი; 96. ასპიტი; 97. ნიკე; 98. ნოსტე; 99. კონიაკი; 100. მეი; 101. კარლოს; 102. კიკუ; 103. ირიდა; 104. ირისი; 105. პონი; 106. ბონდი; 107. კალორია; 108. ოქრო; 109. როტარუ; 110. ნიუტონი; 111. ლისტი; 112. მიდია; 113. ხაში; 114. ნიაგარა; 115. კიტონი; 116. ოპერა; 117. ოზონი; 118. იანკი; 119. კუბერტენი; 120. ბროლი; 121. მარტო; 122. აგვისტო; 123. ლამა; 124. ოაზისი; 125. ნისკარტი; 126. ლილუ; 127. რაუტი; 128. იან; 129. ოტო; 130. სვია; 131. ორბიტა; 132. მო; 133. ტიმ; 134. ოცი; 135. აგნია; 136. უმი; 137. ტვინი; 138. კიი; 139. რაც; 140. ოსტაპ; 141. ცილა; 142. ტუტი. იკითხება: ჯეკ ნიკოლსონი.

## ამინდი

**თბილისი**

**28 მაისი**

| | |
|---|---|
| ღამე | +13 |
| დღე | +24 |

**რეგიონები**

**28 მაისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +23 | ღამე | +13 |
| ქუთაისი | +24 | ღამე | +13 |
| თელავი | +25 | ღამე | +12 |
| ფოთი | +20 | ღამე | +15 |
| გორი | +22 | ღამე | +11 |
| ზუგდიდი | +23 | ღამე | +13 |

# ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04

**28 მაისი:** შეიძლება დღეს რაღაც არნახულ შედეგს მიაღწიოთ. ყურადღებით იყავით, რომ რამე მნიშვნელოვანი არ გამოგრჩეთ.

### კურო 22.04-21.05

**28 მაისი:** შეეცადეთ, ეს დღე საკუთარ თავს დაუთმოთ. დაისვენეთ, გაერთეთ და ხვალისთვის ფორმაში იყავით.

### ტყუპები 22.05-21.06

**28 მაისი:** როგორც ჩანს, ვიღაცამ თვალი დაგადგათ და ალბათ, გამოგეცნაურებათ კიდეც. შეიძლება დღეიდან თქვენს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალოს.

### კირჩხიბი 22.06-22.07

**28 მაისი:** შეიძლება სალამოსკ-ენ სასაცილო გახდეთ. ამაში ცუდი არაფერია, მთავარია, ღრმად არ შეტოპოთ.

### ლომი 23.07-22.08

**28 მაისი:** ფრთხილად იყავით, შეიძლება სულელურმა აზრებმა შემოგიტიოთ. ახლა თქვენზეა დამოკიდებული, რამდენად მოუფრთხილდებით საკუთარ რეპუტაციას.

### ქალწული 23.08-22.09

**28 მაისი:** მოგეჩვენებათ, რომ თქვენი დიდი ხნის ოცნებები აუხდენელია. გული არ გაიტეხოთ ცხოვრება წინაა და ბევრად მეტის მიღწევაც შეიძლება.

### სასწორი 23.09-22.10

**28 მაისი:** რაღაცების შეცვლა მოგიწევთ. ურიგო არ იქნება, თუ ალტერნატივას მოუძებნით ყველაფერს, რაც არ მოგწონთ.

### მორიელი 23.10-21.11

**28 მაისი:** პრობლემამ, რომელიც დიდი ხნის მოგვარებული გეგონათ, შეიძლება კვლავ იჩინოს თავი. ასე რომ, მზად იყავით მოულოდნელობებისთვის.

### მშვილდოსანი 22.11-21.12

**28 მაისი:** დღეს რამე მარტივი გასართობის მოძიება მოგიწევთ, ისეთის, რაც ძალისხმევას არ მოითხოვს.



### თხის რქა 22.12-19.01

**28 მაისი:** დღეს თან-ამოსაუბრეებს თვალებში ჩახედეთ. ასე უფრო დარწმუნდებით, რამდენად გულწრფელი არიან ისინი.

### მერწყული 20.01-18.02

**28 მაისი:** არ არის გამორიცხული, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწიოთ. ამიტომ ყველაფერი კარგად აწონდაწონეთ.

### თევზები 19.02-20.03

**28 მაისი:** ფულთან მიმართებაში აკურატულობა გმართებთ. დიდია ალბათობა, რომ საკმაო თანხა უაზრობაში დახარჯოთ.





„ალია-ჰოლდინგი“
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე



რედაქტორი:
თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)
alia@alia.ge

საინფორმაციო სამსახურის რედაქტორი
თემურ ჭუმბურიძე
(595 26 83 83) 221 21 80 პირადი (110)

მედიაჯგუფი:
1. ვარდიაშვილი ნელი 599 65-81-95, 221 21 80 ან 233 20 06 (226), 790 658 195
2. ზედელაშვილი გელა 555 48-48-61, 221 21 80 ან 233 20 06 (128), 790 333 803
3. ოქრუაშვილი თამარ 599 10-93-50, 221 21 80 ან 233 20 06 (129), 790 433 395
4. სამხარაძე ნინო 599 71-14-22, 221 21 80 ან 233 20 06 (130), 790 411 422
5. სახვაძე მიხეილ 599 93-28-03, 21 21 80 ან 233 20 06 (108)
6. თვალაბეიშვილი ნანა (ქუთაისი) 595 73 73 90
7. ქანთარია მამუკა (ლანჩხუთი) 597 09 98 98

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ქევანიშვილი

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
2-212-099
592-555-552
577-732-000
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



რედაქციის მისამართია:
აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ.
I სართული
(ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.46

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22)
ა-49

„ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანამშრომლის, მედიცინის დოქტორის, ნინო ადამიას მეუღლე, ცნობილი ქართველი კალათბურთელი

## გელა დარსაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ჟინვერი, შვილები დოდო და კახა, რძალი მარინა, დედმამიშვილები ემზარი, ბორისი, აბო და ელიკო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## ზაურბეგ გრიგოლის ძე ონიანი

**გასვენება:** შაბათს, 18 მაისს, 15:00 საათზე;
**მისამართი:** ლენტეხის რაიონი, სოფელი ჟახუნდერი.

„ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას





## ამინდი

**თბილისი**

**24 მაისი**
ღამე +15
დღე +29

**25 მაისი**
ღამე +14
დღე +28

**26 მაისი**
ღამე +14
დღე +26

**რეგიონები**

**24 მაისი**
ბათუმი +34 ღამე +18
ქუთაისი +38 ღამე +20
თელავი +28 ღამე +14
ფოთი +35 ღამე +19
გორი +30 ღამე +13
ზუგდიდი +37 ღამე +17

**25 მაისი**
ბათუმი +25 ღამე +14
ქუთაისი +28 ღამე +16
თელავი +29 ღამე +15
ფოთი +25 ღამე +16
გორი +28 ღამე +13
ზუგდიდი +26 ღამე +15

**26 მაისი**
ბათუმი +22 ღამე +16
ქუთაისი +24 ღამე +16
თელავი +26 ღამე +15
ფოთი +20 ღამე +17
გორი +24 ღამე +12
ზუგდიდი +22 ღამე +17

„ალია პოლდინგი“ სამუშაოდ იწვევს PageMaker-ში მომუშავე გამოცდილ დამკაბადონებელს. ანაზღაურება შეთანხმებით. ტ. 577 777 436.

## იუმორი

მომზადა მიხეილ სახვაძემ







მომზადა მიხეილ სახვაძემ დავით ახობაძის ნახატი

**ს.ს. თელასიაცხადებს №66/41 ფასთა ღია გამოკითხვას ავტომანქანების საბურავების შესყიდვაზე**

ორგანიზაციებს დეტალური ჩამონათვალის მიღება შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს "თელასის" შესყიდვების განყოფილებას ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

შემოთავაზებები დატოვეთ სს "თელასის" კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, ვანის ქუჩა №3, 1 სართული.

***წინადადების მიღების ბოლო ვადაა 2012 წლის 07 მაისი 17სთ.***

**ს.ს. ,,თელასი" აცხადებს №17/45 ფასთა ღია გამოკითხვას 0,4კვ - ს შემყვანი გამანაწილებელი მოწყობილობების შესყიდვაზე**

ორგანიზაციებს დეტალური ჩამონათვალის მიღება შეუძლიათ განცხადების გ დატოვეთ სს "თელასის" კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, ვანის ქუჩა №3, 1 სართული.

***წინადადების მიღების ბოლო ვადაა 2012 წლის 07 მაისი 17სთ.***



მამუკა ქანთარია

*„ალიასთვის“ ოზურგეთიდან*

597 09-98-98



ნანა თვალაბეიშვილი

*„ალიასთვის“ ქუთაისიდან*

595 73-73-90



მიხეილ სახვაძე

599 93-28-03



გიორგი საკარული

555 42-42-90



თამარ ოქრუაშვილი

599 10-93-50



ნელი ვარდიაშვილი

599 65-81-95



მირანდა ნაბახტეველი

555-62-13-63



გელა ზედელაშვილი

555 48-48-61



თემურ ჭუმბურიძე

595 26-83-83



ნინო სამხარაძე

599 71-14-22



მარი გულორდავა

555 59-47-76



მარიკა ჩხიკვაძე

597 40-09-93



შორენა გოგოლაძე

599 22 75 27

ხათუნა ელბაქიძე

591 41-27-97



თამარ ბატიაშვილი

597 56 09 88

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს № CONST 27-13/1 ღია კონკურსს შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს კუთვნილი და მის კანონიერ მფლობელობაში არსებული ქონების დაზღვევის შესყიდვაზე**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენ-ერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის“ კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლოს ვადაა 2014 წლის 27 იანვარი 15 საათი*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს № CONST 27-13/2 ღია კონკურსს შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევის შესყიდვაზე**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენ-ერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის“ კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლოს ვადაა 2014 წლის 27 იანვარი 15 საათი.*

**სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს № X1-03-2013 ღია კონკურსს სს „ხრამჰესი 2“ -ის კუთვნილი და მის კანონიერ მფლობელობაში არსებული ქონების დაზღვევის შესყიდვაზე**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : 0322 330954, 551 461949

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 27 იანვარი 15 სთ.*

**სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს № X1-04-2013 ღია კონკურსს სს „ხრამჰესი 2“ -ის თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევის შესყიდვაზე**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : 0322 330954, 551 461949

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 27 იანვარი 15 სთ.*

რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge